კეთილგანწყობიდან გავლენამდე:

ჩინეთის მზარდი “რბილი ძალა” სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში



2026

სარჩევი

რბილი ძალის კონცეფცია: ჩინეთის მზარდი გავლენა 2

კვლევის სტრუქტურა და მეთოდოლოგია 7

ჩინეთის რეგიონულ გავლენა..... 8

ჩინეთის რბილი ძალის ოპერაციები საქართველოში 9

თანამშრომლობა კულტურის განათლებისა და მეცნიერების სფეროებში 9

ჩინეთის პოპულარიზაცია საქართველოს საზოგადოებაში 14

ჩინური ენის სწავლება საქართველოში 18

კონფუცის ინსტიტუტები 18

საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროებში თანამშრომლობა 21

თანამშრომლობა ჩინეთის კომპანიებთან 25

ჩინეთის რბილი ძალის ოპერაციები აზერბაიჯანში 28

თანამშრომლობა კულტურის განათლებისა და მეცნიერების სფეროებში 28

თანამშორმლობა მედიებს შორის 30

ჩინური ენის სწავლება აზერბაიჯანში 31

კონფუცის ინსტიტუტები აზერბაიჯაში 32

საგანმანათლებლო და სამეცნიერო თანამშრომლობა 34

თანამშორმლობა ჩინეთის კომპანიებთან 37

ჩინეთის რბილი ძალის ოპერაციები ტაჯიკეთში 39

თანამშრომლობა კულტურის განათლებისა და მეცნიერების სფეროებში 39

ჩინეთის ხატი ტაჯიკურ მედიაში 40

ჩინური ენის სწავლება ტაჯიკეთში 41

კონფუცის ინსტიტუტები ტაჯიკეტში 42

საგანმანათლებლო თანამშრომლობა რეგიონულ ფორმატში 46

თანამშრმლობა ჩინურ კომპანიებთთან 49

შედარებითი ანალიზი 52

კვლევის ძირითადი მიგნებები 52

დასკვნა 55

შესავალი

„რბილი ძალის“ კონცეფცია: ჩინეთის მზარდი გავლენა

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში „რბილი ძალა“ არის დიდი სახელმწიფოების მიერ პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე გავლენის დამყარების ერთ-ერთი წამყვანი სტრატეგია. ამ კონტექსტში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ერთ-ერთ მზარდ აქტორად მიიჩნევა. საერთაშორისო საკონსულტაციო ორგანიზაციის Brand Finance-ის 2026 წლის „რბილი ძალის გლობალური ინდექსის“ (Global Soft Power Index) მიხედვით, ჩინეთი გაეროს წევრ სახელმწიფოებს შორის მეორე ადგილს იკავებს. Brand Finance-ის შეფასებით, ჩინეთის „რბილი ძალის“ ინდექსი (73.5/100) მხოლოდ მცირედით ჩამორჩება აშშ-ს ანალოგიურ მაჩვენებელს (74.9/100).



ამერიკელი პოლიტოლოგის, ჯოზეფ ნაის კონცეფციის მიხედვით, „რბილი ძალა“ არის „ძალის მეორე სახე“, რომელიც ეფუძნება არა იძულებას, არამედ სხვა სახელმწიფოს კეთილგანწყობის მოპოვებასა და ამ გზით სასურველი შედეგის მიღწევას. შესაბამისად, „რბილი ძალის“ მთავარი მიზანია, სამიზნე ქვეყნის საზოგადოებაში სახელმწიფოს მიმართ დადებითი აღქმისა და იმიჯის ჩამოყალიბება. ამ თვალსაზრისით, ჩინეთის „რბილი ძალა” სამ ძირითად კომპონენტს მოიცავს: კულტურას, პოლიტიკურ ღირებულებებსა და საგარეო პოლიტიკას.

ექსპერტთა შეფასებით, ჩინეთის კომუნისტური პარტია “რბილი ძალის” ინსტრუმენტების განვითარებისა და საერთაშორისო გავლენის გასაძლიერებლად ყოველწლიურად, დაახლოებით, 10 მილიარდ აშშ დოლარს ხარჯავს. ბოლო წლების ტენდენცია მიუთითებს, რომ ჩინეთი გლობალური “რბილი ძალის” მძლავრ ცენტრად ყალიბდება. თუმცა, საგარეო პოლიტიკის სხვა მიმართულებების მსგავსად, ჩინეთის “რბილი ძალის” მოდელიც არსებითად განსხვავდება დასავლური მიდგომისგან და კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ საფუძვლებს ემყარება. ჩინეთის “რბილი ძალის” ერთ-ერთი განმასხვავებელი მახასიათებელი რევიზიონისტული მიდგომაა: პეკინი სამიზნე ქვეყნებში ჩინეთის მიმართ პოზიტიური აღქმების და დასავლური განვითარების მოდელის ალტერნატიული ხედვის ფორმირებას ცდილობს.

„რბილი ძალა“ ჩინეთის სტრატეგიულ დოკუმენტებში

2026 წლის მარტში ჩინეთის ეროვნულმა სახალხო კონგრესმა ჩინეთის „მეთხუთმეტე ხუთწლიანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმა“ დაამტკიცა. დოკუმენტი 11 თავისგან შედგება, რომელთაგან მე-10 თავი, სათაურით: „ჩინელი ერის კულტურული ინოვაციისა და შემოქმედებითობის ხელშეწყობა და სოციალისტური კულტურის წარმატებული განვითარება“, სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი მიმართულების - კულტურული სექტორის განვითარების პრიორიტეტებს განსაზღვრავს. კერძოდ:

- სოციალისტური ღირებულებების ხელშეწყობა და პრაქტიკაში დანერგვა;
- კულტურული ინიციატივების განვითარება და მხარდაჭერა;
- კულტურული ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარება;
- ჩინური ცივილიზაციის საერთაშორისო კომუნიკაცია და გავლენის გაძლიერება.

გეგმის მიხედვით, ჩინეთის კომუნისტური პარტია მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს „ახალი ერის სოციალისტურ კულტურას“, რომელსაც ექნება გამოკვეთილი „ჩინური მახასიათებლები“, „ძლიერი იდეოლოგიური ხელმძღვანელობა,“ „სულიერი ერთიანობა,“ „ღირებულებითი მიმზიდველობა“ და „საერთაშორისო გავლენა“.

> „ჩვენ გავაძლიერებთ კულტურულ თავდაჯერებულობას [...] მნიშვნელოვნად გაიზრდება ჩინელი ერის ერთიანობა და ჩინური კულტურის გავლენა, რის შედეგადაც ჩინეთის კულტურული რბილი ძალა განაგრძობს ზრდას”.
>
> მე-15 ხუთწლიანი გეგმა, გვ.14

„ჩინური ცივილიზაციის კომუნიკაციის და გავლენის გაუმჯობესების“ თავში აღნიშნულია, რომ კომუნისტური პარტია დააჩქარებს ჩინეთის შესახებ დისკურსის და ნარატიული სისტემების განვითარებას, გააძლიერებს საერთაშორისო კომუნიკაციის ეფექტურობას, გააფართოებს კულტურულ გაცვლებსა და თანამშრომლობას სხვა ქვეყნებთან და მსოფლიოს გააცნობს ჩინეთის „სანდო, მიმზიდველ და პატივსაცემ რეპუტაციას“ (მე-15 ხუთწლიანი გეგმა, გვ. 11).

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, გეგმა ორ ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს: ეფექტიანი საერთაშორისო საკომუნიკაციო სისტემის შექმნასა და ცივილიზაციებს შორის გაცვლისა და ურთიერთსწავლის გაღრმავებას.

1. საერთაშორისო საკომუნიკაციო სისტემის განვითარებისთვის პარტია გეგმავს საერთაშორისო კომუნიკაციის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებას. მათ შორის, კომუნიკაციის პლატფორმებსა და მეთოდებში ინოვაციების დანერგვას და საზღვარგარეთ საკომუნიკაციო ქსელების გაფართოებას. გეგმის მიხედვით, მოხდება შესაბამისი ორგანიზაციების ხელშეწყობა საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობის გაფართოებისთვის, რათა გლობალური აუდიტორიისთვის შექმნან და გაავრცელონ სატელევიზიო პროგრამები, ლიტერატურა, ვიდეოთამაშები, ფილმები, ანიმაცია და სახელოვნებო პროექტები.

2. ცივილიზაციებს შორის დიალოგისა და კულტურული გაცვლის ხელშეწყობის ინსტრუმენტია ხალხთაშორისი და კულტურული ურთიერთობების გაღრმავება. პარტია ჩინური კულტურისადმი საერთაშორისო ინტერესის ზრდას ისახავს მიზნად. შესაბამისად, დაგეგმილია ისეთი საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება, როგორიცაა გლობალური ცივილიზაციების დიალოგის კონფერენცია და ლიანჭუს ფორუმი (“Liangzhu Forum”). ამასთანავე, გეგმის მიხედვით, განხორციელდება „ბრენდის აქტივობები“, როგორიცაა „ჩინეთის შეცნობა“ („Understanding China“) და „ორქიდეას ჯილდო“ (“Orchid Award”); ასევე, ჩინეთის კულტურის, ტურიზმისა და კინოფესტივალების, გამოფენებისა და სხვა კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა.

კომუნისტური პარტიის მიერ სოციალისტური კულტურის განვითარების ხელშეწყობისთვის, დოკუმენტი დამატებით ორ ძირითად ამოცანას განსაზღვრავს:

1. "პარტიის ინოვაციური თეორიების" გავრცელება: აღნიშნული კომპონენტი მოიცავს პარტიული მასალების თარგმნასა და საზღვარგარეთ გავრცელებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სი ძინპინის პოლიტიკური ხედვებისა და იდეოლოგიური კონცეფციების პოპულარიზაციას.

2. ლიტერატურული და მხატვრული პროდუქციის შექმნა: აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებს დოკუმენტური ფილმების, ანიმაციური ნამუშევრების, სატელევიზიო პროგრამებისა და სხვა კულტურული პროდუქციის შექმნას, რომლებიც ჩინეთის კულტურულ და იდეოლოგიურ ნარატივებს მოიცავს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის „მეთხუთმეტე ხუთწლიანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების" გეგმის ანალიზი აჩვენებს, რომ კომუნისტური პარტია კულტურული განვითარების სტრატეგიას „რბილი ძალის" კონცეფციის განუყოფელ ნაწილად განიხილავს. გეგმის მიხედვით, სხვა სახელმწიფოებთან და ცივილიზაციებთან კულტურული თანამშრომლობის გაღრმავებამ ჩინეთის საერთაშორისო ავტორიტეტი და გავლენა უნდა გააძლიეროს. ამავდროულად, კულტურული ინდუსტრია განიხილება არა მხოლოდ ქვეყნის კულტურული განვითარების, არამედ სოციალისტური ღირებულებებისა და კომუნისტური პარტიის პოლიტიკური ხედვების როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე გავრცელების მნიშვნელოვან მექანიზმად. შესაბამისად, დოკუმენტი მიუთითებს, რომ ჩინეთის „რბილი ძალის" სტრატეგია მკაფიოდ სახელმწიფო-ცენტრისტულია და, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზნების განხორციელებას ემსახურება.

ჩინეთის „რბილი ძალის" ინსტრუმენტები

ჩინეთის კომუნისტური პარტიის სტრატეგიული პრიორიტეტები პრაქტიკაში მრავალფეროვანი ინსტრუმენტების საშუალებით ხორციელდება და განსაკუთრებით 2010-იანი წლების მეორე ნახევრიდან, პარტიამ „რბილი ძალის" პოლიტიკა მნიშვნელოვნად გააქტიურა. გთავაზობთ იმ ძირითადი ინსტრუმენტების მიმოხილვას, რომლებსაც ჩინეთი „რბილი ძალის" სტრატეგიის ფარგლებში იყენებს.

ჯოზეფ ნაის შეფასებით, ჩინეთის „რბილი ძალის" ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მექანიზმს საგანმანათლებლო ინიციატივები წარმოადგენს. ამ მიმართულებით განსაკუთრებული როლი ენიჭება კონფუცის ინსტიტუტებს, რომლებიც მსოფლიოში ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია. პირველი კონფუცის ინსტიტუტი 2004 წელს, სამხრეთ კორეაში, სეულში გაიხსნა და 20 წლის შემდეგ, 2024 წლის მონაცემებით, მსოფლიოში 150-ზე მეტ ქვეყანაში უკვე 500-ზე მეტი კონფუცის ინსტიტუტი ფუნქციონირებს. ინსტიტუტები, როგორც არაკომერციული ორგანიზაციები, ჩინეთის განათლების სამინისტროსთან არის დაკავშირებული და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ, მათ შორის, ჩინური ენის, კულტურის, კულინარიისა და კალიგრაფიის მიმართულებებით. კონფუცის ინსტიტუტები ყოველწლიურად მინიმუმ 100 000 აშშ დოლარს იღებენ და აქტიურად თანამშრომლობენ მასპინძელი ქვეყნების ადგილობრივ უნივერსიტეტებთან, სკოლებსა და კოლეჯებთან.

კონფუცის ინსტიტუტები ხშირად ხდება კრიტიკის ობიექტი გამჭვირვალობის ნაკლებობის, პეკინზე ფინანსური დამოკიდებულებისა და კომუნისტური პარტიისთვის სენსიტიურ საკითხებზე ცენზურის პრაქტიკის გამო. სწორედ ამიტომ, ბოლო წლებში ამერიკისა[1] და ევროპის არაერთმა უნივერსიტეტმა ინსტიტუტების

1. აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის პირველი ადმინისტრაციის პერიოდში, ჩინეთთან ახლო კავშირების გამო, კონფუცის ინსტიტუტებზე კონტროლი გამკაცრდა. 2020 წელს სახელმწიფო დეპარტამენტმა ვაშინგტონში დაფუძნებული ერთ-ერთი კონფუცის ინსტიტუტი ჩინეთის „საგარეო მისიად" გამოაცხადა. ტრამპის ადმინისტრაციის ზეწოლის ფონზე, 2019 წლიდან 100-ზე მეტი ინსტიტუტი დაიხურა. 2026 წლის მაისის მდგომარეობით, ამერიკაში მხოლოდ 17 კონფუცის ინსტიტუტი ფუნქციონირებს.

დახურვის[2], ან მათი საქმიანობის რესტრუქტურიზაციის გადაწყვეტილება მიიღო.[3]

ჩინეთის „რბილი ძალის“ სტრატეგიის მეორე ეფექტურ მექანიზმად „სამეცნიერო დიპლომატია“ მიიჩნევა, რომელიც მოიცავს საერთაშორისო სტუდენტებისთვის განკუთვნილ სამთავრობო სტიპენდიებს, უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობას, ერთობლივ სამეცნიერო ინიციატივებსა და გაცვლით პროგრამებს, ასევე, სხვა საგანმანათლებლო და კვლევით აქტივობებს.

ბოლო წლებში, ჩინეთი საერთაშორისო სტუდენტებისთვის ერთ-ერთი რჩეული მიმართულებაა. 2024-25 წლებში, ქვეყანაში 191 ქვეყნიდან დაახლოებით 380 000 სტუდენტი იღებდა განათლებას. მათი უმრავლესობა სახალხო რესპუბლიკაში თვითდაფინანსებით სწავლობდა. თუმცა, ჩინეთის სტიპენდიების საბჭო, ჩინელი და უცხოელი სტუდენტებისთვის გამოყოფილი კვოტების ფარგლებში, სახელმწიფო დაფინანსებასაც უზრუნველყოფდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი საერთაშორისო განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად ყალიბდება, განათლების სფეროს ექსპერტების უმრავლესობა სახალხო რესპუბლიკის საგანმანათლებლო სისტემის მიმართ სკეპტიკურად არის განწყობილი. მათი შეფასებით, ჩინეთის განათლების მოდელი ორიენტირებულია არა კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, არამედ მექანიკურ, უშინაარსო დაზეპირება-დამახსოვრებაზე. ამასთანავე, საგანმანათლებლო სივრცე კომუნისტური პარტიის მკაცრ კონტროლსა და ცენზურას ექვემდებარება, რაც აკადემიურ თავისუფლებასა და დამოუკიდებელი კვლევების განხორციელების შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ზღუდავს.

საგანმანათლებლო სფეროს გარდა, ჩინეთის “რბილი ძალის” ინსტრუმენტების სპექტრი საკმაოდ ფართოა და მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა პარტიული დიპლომატია, მედია, ჯანდაცვა, სპორტი, ხელოვნება და სხვა სფეროები.

პარტიული დიპლომატია

ჩინეთის კომუნისტური პარტია აქტიურად თანამშრომლობს უცხო სახელმწიფოების პოლიტიკურ პარტიებთან. პარტიული დიპლომატიის მთავარი მიზანია სამიზნე ქვეყნებში პოლიტიკური ელიტების მხრიდან ჩინეთისადმი კეთილგანწყობის მოპოვება და გრძელვადიანი თანამშრომლობის განვითარება. 2025 წლის მდგომარეობით, ჩინეთის კომუნისტურ პარტიას ოფიციალური ურთიერთობები აქვს 160-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედ 600-ზე მეტ პოლიტიკურ პარტიასა და ორგანიზაციასთან.

საერთაშორისო მედია

ჩინეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო საინფორმაციო სივრცეში საკუთარი გავლენის გაფართოებას. ამ მიზნით, პეკინი აქტიურად ავითარებს უცხოენოვანი მედიასაშუალებების ქსელს, რაც ჩინეთის შესახებ საერთაშორისო ნარატივების ფორმირებისა და გავრცელების შესაძლებლობას აძლიერებს. ქვეყნის მთავარ საინფორმაციო სააგენტოს, სინხუა-ს (Xinhua News Agency) გლობალურად 170-ზე მეტი ბიურო აქვს და ყოველდღიურად 11 ენაზე საშუალოდ 15 000-ზე მეტ პუბლიკაციას აქვეყნებს.

---

2. მსგავსი გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა შემდეგ ქვეყნებში: შვედეთში, სტოკჰოლმის უნივერსიტეტში 2025 წელს, გერმანიაში, სხვადასხვა უნივერსიტეტში 2020-23 წლებში, ავსტრალიაში - 2025 წელს.

3. 2025 წელს ავსტრალიის ექვსმა უნივერსიტეტმა კონფუცის ინსტიტუტების დახურვის გადაწყვეტილება მიიღო. გააწყვეტილება მოჰყვა ავსტრალიის მთავრობის კრიტიკას, რომლის მიხედვითაც კონფუცის ინსტიტუტები პეკინის პროპაგანდის გასავრცელებლად და ჩინელ სტუდენტებზე თვალთვალისთვის გამოიყენებოდა.

ანალოგიურ ფუნქციას ასრულებენ China Daily და The Global Times, რომლებიც საერთაშორისო აუდიტორიას ინგლისურენოვან კონტენტს სთავაზობენ. ამასთანავე, სახელმწიფო ტელემაუწყებელი CCTV ექვს ენაზე მაუწყებლობს.

ჩინეთის „რბილი ძალის“ სტრატეგია მოიცავს ციფრულ სივრცესაც. ამ თვალსაზრისით, სახალხო რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად მიიჩნევა სოციალური პლატფორმა TikTok. ბოლო წლებში, TikTok, პოლიტიკურად სენსიტიური კონტენტის ცენზურის პრაქტიკის გამო, არაერთხელ გახდა კრიტიკის ობიექტი. მიუხედავად იმისა, რომ TikTok-ზე განთავსებული მასალების დიდი ნაწილი გასართობი შინაარსისაა, ექსპერტების შეფასებით, პლატფორმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, განსაკუთრებით, ახალგაზრდების შეხედულებებისა და აღქმების ფორმირებაზე.

კინოინდუსტრია და სპორტი

კინოინდუსტრია და სპორტი ჩინეთის „რბილი ძალის“ შედარებით ახალი, თუმცა, სწრაფად განვითარებადი მიმართულებებია. ჩინური კინოინდუსტრია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის პოზიტიური საერთაშორისო იმიჯის ფორმირებაში, ხოლო სპორტი ეროვნული პრესტიჟისა და საერთაშორისო გავლენის გაძლიერების ერთ-ერთ ინსტრუმენტად განიხილება. ჩინეთის „რბილი ძალის“ სტრატეგიის მიზანია, სპორტის ცალკეულ სახეობაში ჩინეთის, როგორც მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს სტატუსის მოპოვება. აქვე უნდა აღინიშნოს „2015 წლის ფეხბურთის რეფორმის გეგმა“, რომლის მიზანია, 2050 წლისთვის ჩინეთი მსოფლიო ფეხბურთის „ზესახელმწიფოდ“ ჩამოყალიბდეს.

ამრიგად, ჩინეთის „რბილი ძალის“ სტრატეგია მრავალფეროვან ინსტრუმენტებს აერთიანებს. თუ თავდაპირველად მისი ძირითადი საყრდენი საგანმანათლებლო, კულტურული და სამეცნიერო პროგრამები იყო, დღეს ის მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მოიცავს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს. პარტიული დიპლომატიის, საერთაშორისო მედიის, ციფრული პლატფორმების, კინოინდუსტრიისა და სპორტის ინტეგრირებული გამოყენება მიუთითებს, რომ ჩინეთი, საკუთარი საერთაშორისო გავლენის გასაძლიერებლად, „რბილი ძალის“ პოლიტიკას ციფრული ეპოქის მოთხოვნებს სისტემურად უსადაგებს.



კვლევის სტრუქტურა და მეთოდოლოგია

ჩინეთის მზარდი გლობალური ამბიციები განსაკუთრებით თვალსაჩინოა მის მეზობელ რეგიონებში. თუ თავდაპირველად პეკინის საგარეო-პოლიტიკური აქტივობა, ძირითადად, ცენტრალურ აზიაზე იყო კონცენტრირებული, ბოლო წლებში მისი ინტერესი სამხრეთ კავკასიის მიმართაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს, რომ ჩინეთი ეტაპობრივად აფართოებს როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური, ისე „რბილი ძალის“ ინსტრუმენტების გამოყენების გეოგრაფიულ არეალს.



ნაშრომის ძირითადი ნაწილი სამი თავისგან შედგება და ინდივიდუალური ქვეყნების კვლევის შედეგებს მოიცავს. კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილდა საკვლევ ქვეყნებში ჩინეთის „რბილი ძალის“ შემდეგ ასპექტებზე:

- სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში კულტურული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობის ფორმები და ძირითადი მიმართულებები;
- საგანმანათლებლო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის დინამიკა
- ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციის მექანიზმები;
- ჩინეთის შესახებ ფართოდ გავრცელებული ძირითადი აღქმები და ნარატივები;
- მედიასაშუალებებს შორის თანამშრომლობის მასშტაბი და მიმართულებები.

ანგარიშის დასკვნით ნაწილში საქართველოს, აზერბაიჯანისა და ტაჯიკეთის შემთხვევები შედარებითი პერსპექტივიდან არის გაანალიზებული, რაც გვაძლევს ჩინეთის „რბილი ძალის“ ინსტრუმენტების საერთო ტენდენციებისა და ქვეყნების მიხედვით გამოვლენილი განსხვავებების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

ჩინეთის რეგიონული გავლენა

ჩინეთი ცენტრალურ აზიაში



ჩინეთის მზარდი გლობალური და საგარეო პოლიტიკური ამბიციები, უპირველეს ყოვლისა, გეოგრაფიულად ახლომდებარე რეგიონებზე, მათ შორის, ცენტრალურ აზიაზე აისახება. ცენტრალური აზია, საბჭოთა მემკვიდრეობის გამო, ტრადიციულად რუსეთის გავლენის სფეროდ მიიჩნეოდა. თუმცა, 2022 წელს, რუსეთის უკრაინაში სრულმასშტაბიანი სამხედრო შეჭრის შემდეგ, რეგიონში ჩამოყალიბებული ძალთა ბალანსი მნიშვნელოვნად შეიცვალა, რამაც კრემლის დომინანტური პოზიციების თანდათანობითი შესუსტება გამოიწვია.

უკრაინაში ომის დაწყებამდე რუსეთისა და ჩინეთის რეგიონული პოლიტიკა, ძირითადად, ურთიერთშემავსებელი ხასიათის იყო და ფუნქციების გარკვეულ განაწილებას ეფუძნებოდა. რუსეთი ცენტრალური აზიის უსაფრთხოებისა და სამხედრო-პოლიტიკური გავლენის მთავარ გარანტორად მიიჩნეოდა, ხოლო ჩინეთი რეგიონის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული ინტეგრაციის წამყვან ძალად ყალიბდებოდა. 2022 წლის შემდეგ შექმნილმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ ცენტრალურ აზიაში ძალთა გადანაწილების პროცესი დააჩქარა და ჩინეთს საკუთარი გავლენის გაფართოების ახალი შესაძლებლობები შეუქმნა. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა ის ფაქტი, რომ 2023 წელს ჩინეთი ცენტრალური აზიის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი გახდა. ამავე წელს, ჩინეთის ორგანიზებით ჩატარდა ჩინეთი-ცენტრალური აზიის სამიტი, რომელიც პეკინის რეგიონული სტრატეგიისთვის გარდამტეხ ეტაპს წარმოადგენდა. მანამდე, ჩინეთი რეგიონის ქვეყნებთან მრავალმხრივი პლატფორმებით და, ძირითადად, რუსეთის თანამონაწილეობით მოქმედი შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში ურთიერთობდა. თუმცა, 2023 წლის ჩინეთი-ცენტრალური აზიის სამიტი ახალი განაცხადის დასაწყისი იყო, სადაც ნათლად გამოჩნდა რეგიონში რუსეთის გავლენის შემცირებისა და ჩინეთის როლის გაძლიერების ტენდენცია.

ჩინეთის მზარდი გავლენის შედეგები განსაკუთრებით რეგიონის ყველაზე ღარიბ ქვეყანაზე, ტაჯიკეთზეც აისახა. 2025 წელს, კრემლის გავლენის შემცირების ფონზე, ჩინეთი დუშანბეს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი, ინვესტორი და კრედიტორი გახდა. პეკინის ინვესტიციები ძირითადად ინფრასტრუქტურულ პროექტებზეა კონცენტრირებული. სწორედ ჩინეთის 230 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროექტით აშენდა ტაჯიკეთის პარლამენტის და მთავრობის/მინისტრთა კაბინეტის ახალი შენობები. აღნიშნული პროექტების უმნიშვნელოვანესი „დეტალი“ არის ის ფაქტი, რომ ეს იყო ჩინელი ხალხის უსასყიდლო საჩუქარი ტაჯიკეთის სახელმწიფოსთვის. მსგავსი მასშტაბური პროექტები აჩვენებს, რომ ფინანსური ბერკეტების გამოყენებით ჩინეთი ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტასთან გრძელვადიან ურთიერთობებს აყალიბებს და, შესაბამისად, რეგიონში პოზიციებს მკვეთრად იმყარებს.

ტაჯიკეთში ეკონომიკური ინტერესების ზრდის პარალელურად, ჩინეთმა „რბილი ძალის“ ინსტრუმენტებიც აამოქმედა. ოფიციალური პეკინი კულტურულ-სოციალური მექანიზმებით ცდილობს, ქვეყანაში საკუთარი რეპუტაცია განიმტკიცოს და საზოგადოების კეთილგანწყობა მოიპოვოს. „რბილი ძალა“ იმ საზოგადოებრივი უკმაყოფილების ან წინააღმდეგობის შემცირების მნიშვნელოვან მექანიზმად განიხილება, რომელიც მისი ეკონომიკური აქტივობისა და მზარდი გავლენის საპასუხოდ შეიძლება წარმოიშვას. შესაბამისად, ტაჯიკეთის ეკონომიკის ჩინეთზე მზარდ დამოკიდებულებასთან ერთად, პეკინის „რბილი ძალის“ ინსტრუმენტებიც სულ უფრო მნიშვნელოვან ფუნქციას იძენს და ეკონომიკურ გავლენას ავსებს.

ჩინეთი სამხრეთ კავკასიაში



ტრადიციულად, სამხრეთ კავკასია ჩინეთისთვის პერიფერიულ გეოგრაფიულ არეალს წარმოადგენდა და რეგიონის ქვეყნებთან პეკინის ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები მაღალი ინტენსივობით არ გამოირჩეოდა. თუმცა, ისევე როგორც ცენტრალურ აზიაში, სამხრეთ კავკასიაშიც, უკრაინაში ომის შემდეგ შექმნილმა გეოპოლიტიკურმა გარემომ პეკინს ახალი შესაძლებლობები გაუჩინა. კერძოდ, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ფონზე, აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ტრადიციული სავაჭრო მარშრუტები დაირღვა. ომის გამო ჩრდილოეთის დერეფანმა სანდოობა და ფუნქცია დაკარგა. შედეგად, გაიზარდა ინტერესი შუა დერეფნის, იგივე ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის მიმართ, რომელიც ჩინეთს ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის გავლით ევროპასთან აკავშირებს.

2022 წლიდან სამხრეთ კავკასიის მიმართ ჩინეთის ინტერესი მზარდია, რაც რეგიონის სახელმწიფოებთან დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებაში მყისიერად აისახა. რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან სამიოდე წლის განმავლობაში, პეკინმა რეგიონის სამივე სახელმწიფოსთან სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებები გააფორმა, გააქტიურდა ეკონომიკური თანამშრომლობაც - ინფრასტრუქტურული, სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტები დაიწყო. გასაკვირი არ არის, რომ ჩინეთის ინტერესის ზრდა ყველაზე მეტად საქართველოსა და აზერბაიჯანში განხორციელებულ ინიციატივებში გამოიკვეთა.

რეგიონის მიმართ ჩინეთის გაზრდილი ინტერესი “რბილი ძალის” ოპერაციების სიხშირეზეც აისახა. „სამოქალაქო იდეას“ მიერ სამხრეთ კავკასიაში ჩინეთის აქტივობების შესახებ მომზადებულმა მონიტორინგის ყოველკვირეულმა ანგარიშებმა აჩვენა, რომ ბოლო წლებში ჩინეთსა და რეგიონის ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით კი - აზერბაიჯანსა და საქართველოში, თანამშრომლობა სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროებში მუდმივი ზრდით ხასიათდება. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს, რომ პეკინი, რეგიონში გავლენის გასაძლიერებლად, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მექანიზმებთან ერთად, “რბილი ძალის” ინსტრუმენტებსაც სულ უფრო აქტიურად იყენებს.

ჩინეთის „რბილი ძალის“ ოპერაციები საქართველოში



საქართველო-ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობა: თანამშრომლობა კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში

2023 წლის 31 ივლისს, საქართველო-ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობის განაცხადით, ორ ქვეყანას შორის დიპლომატიურ-პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. დოკუმენტი ოთხი ნაწილისგან შედგება და მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ხალხთაშორის და კულტურულ ურთიერთობებს, ასევე, საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებებს. შეთანხმების მესამე ნაწილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს თანამშრომლობის გაღრმავებაზე მეცნიერების, ტექნოლოგიების, კულტურის, ტურიზმის, ჯანდაცვის, სპორტის, კინემატოგრაფიის, მედიისა და საჯარო დიპლომატიის სფეროებში.

სტრატეგიული პარტნიორობის გამოცხადების შემდეგ, თანამშრომლობამ უფრო ინსტიტუციონალიზებული ხასიათი შეიძინა, რაც ოფიციალური ვიზიტების, მაღალი დონის შეხვედრებისა და გაფორმებული შეთანხმებების რაოდენობის ზრდაში გამოიხატა. 2024-2025 წლებში ჩინეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, თბილისის მერიის, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები. პარალელურად, საქართველოში ჩინეთის ელჩი ჭოუ ციენი (2022-2026) რეგულარულად მართავდა შეხვედრებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრთან და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებთან. აღნიშნული შეხვედრების დღის წესრიგი, ძირითადად, სტრატეგიული პარტნიორობის შემდგომ გაღრმავებას, მათ შორის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში თანამშრომლობის გაფართოებას ეხებოდა.

საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებში პარტიული დიპლომატიაც სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს. 2024-2025 წლებში "ქართული ოცნების" დელეგაციამ სახალხო რესპუბლიკაში ორი ოფიციალური ვიზიტი გამართა. შეხვედრები გაიმართა ჩინეთის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო დეპარტამენტის, ჩინეთის ეროვნული სახალხო კონგრესის, სხვადასხვა მუნიციპალური მთავრობისა და სამინისტროების წარმომადგენლებთან. ქვემოთ გთავაზობთ 2024-2025 წლებში ორი ქვეყნის ოფიციალურ პირებს შორის გამართული შეხვედრების და ვიზიტების მოკლე ჩამონათვალს:

ოფიციალურ პირებს შორის შეხვედრების ქრონოლოგია (2024-2025 წლები)

2024 წელი

14-20 იანვარი

„ქართული ოცნების" დელეგაცია, პარტიის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის (2021-24) ხელმძღვანელობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ესტუმრა.

16 იანვარი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი (2021-2024) საქართველოში ჩინეთის ელჩს ჭოუ ციენს (2022-2026) შეხვდა.

22 თებერვალი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საქართველოში ჩინეთის ელჩს ჭოუ ციენს (2022-2026) შეხვდა.

14-17 აპრილი

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო დეპარტამენტის მინისტრის მოადგილე ჩენ ჭოუ საქართველოს ესტუმრა.

11 აპრილი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გიორგი ამილახვარი (2023-2024) საქართველოში ჩინეთის ელჩს ჭოუ ციენს შეხვდა.

19 ივლისი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაკა ბოჭორიშვილი საქართველოში ჩინეთის ელჩს ჭოუ ციენს (2022-2026) შეხვდა.

13 აგვისტო

საქართველოს პარლამენტის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი საქართველოში ჩინეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს სიუ ხაიჭენგის შეხვდა.

11-13 სექტემბერი

საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი (2022-2025) სამუშაო ვიზიტით ჩინეთს ესტუმრა.

6 დეკემბერი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საქართველოში ჩინეთის ელჩს ჭოუ ციენს (2022-2026) შეხვდა.

17 დეკემბერი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაკა ბოჭორიშვილი საქართველოში ჩინეთის ელჩს ჭოუ ციენს (2022-2026) შეხვდა.

2025 წელი

10 იანვარი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საქართველოში ჩინეთის ელჩს ჭოუ ციენს (2022-2026) შეხვდა.

7 თებერვალი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ალექსანდრე წულაძე (2024-2025) საქართველოში ჩინეთის ელჩს ჭოუ ციენს (2022-2026) შეხვდა.

22 მარტი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ალექსანდრე წულაძე (2024-2025) საქართველოში ჩინეთის ელჩს შეხვდა.

28 მაისი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ალექსანდრე წულაძე (2024-2025) ჩინეთს ესტუმრა.

4 ივნისი

საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე საქართველოში ჩინეთის ელჩს ჭოუ ციენს (2022-2026) შეხვდა.

27 ივლისი

„ქართული ოცნების“ საპარლამენტო დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ესტუმრა.

6 აგვისტო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საქართველოში ჩინეთის ელჩს ჭოუ ციენს (2022-2026) შეხვდა.

26 სექტემბერი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საქართველოში ჩინეთის ელჩს ჭოუ ციენს (2022-2026) შეხვდა.

13 ოქტომბერი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საქართველოში ჩინეთის ელჩს ჭოუ ციენს (2022-2026) შეხვდა.

4 ნოემბერი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ჩინეთის პრემიერს ლი ქიანგს შეხვდა.

14-19 ნოემბერი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გივი მიქანაძე ჩინეთს ესტუმრა.

25 ნოემბერი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გივი მიქანაძე საქართველოში ჩინეთის ელჩს ჭოუ ციენს (2022-2026) შეხვდა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ მმართველი პარტიის პოზიცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი ოფიციალური პოლიტიკური დისკურსის ანალიზის საფუძველზე. „ქართულ ოცნებასა“ და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას შორის ურთიერთობების გაღრმავების პარალელურად, პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების საჯარო გამოსვლებში ჩინეთის მიმართ პოზიტიური შეფასებები და ემოციური ენის ელემენტები გახშირებულია. მაგალითისათვის, 2025 წლის 5 ნოემბერს, ირაკლი კობახიძემ, ჩინეთის სახელმწიფო ტელეარხისთვის, CGTN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მისამართით არაერთი საქებარი განცხადება გააკეთა.

> “ჩინეთთან პარტნიორობის გაძლიერება არის მთავარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი ჩვენთვის [...] მე ვიტყოდი, რომ ჩინეთი არის **ერთადერთი მშვიდობიანი ზესახელმწიფო თანამედროვე მსოფლიოში, რასაც ბოლო ათწლეულების ისტორია ადასტურებს და ყველამ უნდა დააფასოს ეს ძალიან მნიშვნელოვანი როლი [...]. ჩინეთი არის მისაბაძი მაგალითი მოდერნიზაციისთვის, პროგრესისთვის და ეკონომიკური განვითარებისთვის. ჩინეთი ასევე არის სამართლიანი მოთამაშე გლობალურ პოლიტიკაში.”**



ინტერვიუს დროს, კობახიძემ მხარდაჭერა გამოუცხადა ჩინეთის პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ ოთხ გლობალურ ინიციატივას. ასევე, მან დადებითად შეაფასა მისი განვითარების მოდელი და ეკონომიკური პოლიტიკა. კობახიძემ ჩინეთის განვითარების მე-15 ხუთწლიანი გეგმა “სანიმუშოდ” დაასახელა და გამოთქვა სურვილი, საქართველოც “მიყვეს” ჩინეთის გამოცდილებას:

“ძალიან შთამბეჭდავია ის, თუ როგორ ვითარდება ჩინეთი ეკონომიკურად და რიცხვები აჩვენებს ყველაფერს... ზრდა და პროგრესი უბრალოდ დრამატულია.

ჩინეთი ასევე სანიმუშო მაგალითია სტრატეგიული დაგეგმვის კუთხითაც. ... და სწორედ სტრატეგიული ხედვების დამსახურებაა, რომ თქვენ მიაღწიეთ ამგვარ მაღალ პროგრესს ბოლო წლებში. ამიტომ, რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან გვსურს მივყვეთ გამოცდილებას, რომელიც ჩინეთს აქვს სტრატეგიული დაგეგმვის კუთხით.”

ჩინეთის მედიასთან ინტერვიუში გამოთქმული მსგავსი მოსაზრებები გამონაკლისი არ არის. ბოლო პერიოდში ჩინეთის “სანიმუშო” და “სამაგალითო” აქტორად წარმოჩენა “ქართული ოცნების” დისკურსის განუყოფელ კომპონენტად იქცა. თავად კობახიძე განსაკუთრებით გამოირჩევა პროჩინური გზავნილებით. 2025 წლის სექტემბერში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების 76-ე წლისთავისა და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას, კობახიძემ განაცხადა:

“დღეს ჩინეთი სამაგალითოა ყველა ცივილიზებული ქვეყნისთვის იმით, რომ წინსვლაზე, მოდერნიზაციასა და განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფოა და გლობალურ მშვიდობას აძლიერებს.”

ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიმართ “ქართული ოცნების” ინტერესი მხოლოდ მხარდამჭერი დისკურსით არ შემოიფარგლება. ივანიშვილის პარტია ყველა დარგში ჩინეთთან თანამშრომლობის გაღრმავებას პოლიტიკის პრიორიტეტად აცხადებს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა 2025 წლის 4 დეკემბერს საქართველოში ჩინეთის ელჩ, ჭოუ ციენსა და საქართველოს პარლამენტის საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ჯგუფს[4] შორის გამართული შეხვედრა. ელჩმა ხაზი გაუსვა ჩინეთის მზადყოფნას, გაუზიაროს საქართველოს მმართველობის გამოცდილება. თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ, რომელიც იმავდროულად საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარეა, განაცხადა, რომ საქართველო-ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობა ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთნდობის საფუძველზე ვითარდება და ორ ხალხს შორის მეგობრობა დღითიდღე ღრმავდება.

“

“საქართველოს პარლამენტი იმედოვნებს, რომ გააძლიერებს მაღალი დონის და ყველა დონეზე თანამშრომლობას ჩინეთთან.”

გიორგი ვოლსკი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 04.12.2025.



ჩინეთთან პარტნიორობის გაძლიერების შესახებ ენთუზიაზმი და სურვილი თავს იჩენს განათლების მიმართულებითაც. 2025 წლის ნოემბერში, მინისტრმა მიქანაძემ China Daily-სთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ საქართველოში ჩინური ენის მიმართ ინტერესი იზრდება და საქართველოს მთავრობის მიზანია, ჩინური ისეთივე პოპულარული გახადოს, როგორც ინგლისური ენაა.

4. საქარათველოს პარლამენტის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფი საქართველოში წლებია ფუნქციონირებს. ჯგუფი დაფუძნდა 2006 წელს ხელმოწერილი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს შორის, მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარების ერთობლივი განცხადების ფარგლებში.

„ახალგაზრდა თაობაში ჩინური ენის სწავლა სულ უფრო პოპულარული ხდება. ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ჩინური ენა სკოლებში მეორე ენა გავხადოთ [...] ჩემს ქვეყანაში, მშობლიური ქართული ენის შემდეგ, ყველაზე პოპულარული ენა ინგლისურია.

ჩვენ მიზნად ვისახავთ და ვგეგმავთ, რომ მომდევნო წლებში, ჩვენი ჩინელი პარტნიორების და მეგობრების მხარდაჭერით, ჩინურმა ენამ პოპულარობის მხრივ ინგლისურის დონეს მიაღწიოს. “



საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გივი მიქანაძე,

“China Daily”, 15.11.2025.

ამრიგად, „ქართული ოცნებისა“ და სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლების ოფიციალური დისკურსის ანალიზი აჩვენებს, რომ საჯარო განცხადებებში ჩინეთთან თანამშრომლობის მნიშვნელობა და მისი შემდგომი გაღრმავების აუცილებლობა მკაფიოდ პრიორიტეტულია და პროჩინური ნარატივებით ხასიათდება. მმართველი პარტიის წარმომადგენლები სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, განათლების, მეცნიერების და კულტურის მიმართულებებით, ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოებისა და ჩინეთის გამოცდილების გაზიარების მზადყოფნას გამოხატავენ. თავის მხრივ, სახალხო რესპუბლიკასთან ინტენსიური თანამშრომლობის პოლიტიკური ნების არსებობა ქვეყანაში ჩინეთის „რბილი ძალის“ ოპერაციებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის.

ჩინეთის პოპულარიზაცია საქართველოს საზოგადოებაში

ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება „ქართული ოცნების“ დეკლარირებულ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტს წარმოადგენს. ორმხრივი ურთიერთობების გაძლიერების პარალელურად, მმართველი პარტიის წარმომადგენლები საზოგადოებაში ჩინეთის შესახებ დადებითი აღქმების ფორმირებასაც უწყობენ ხელს. აღნიშნული ტენდენცია იკვეთება როგორც „ქართული ოცნების“ წევრების განცხადებებში, ისე ცალკეულ პროექტებში, რომლებიც ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზეა ორიენტირებული. ამ მიმართულებით, მმართველი პარტია ჩინეთის შესახებ აუდიოვიზუალური მასალების შექმნას აქტიურად უჭერს მხარს.

საკვლევ პერიოდში, 2024-2025 წლებში, ოფიციალურმა პირებმა ქართულ აუდიტორიას სამი გამორჩეულად პროჩინური პროპაგანადისტული დოკუმენტური ფილმი შესთავაზეს. ქვემოთ წარმოდგენილია აღნიშნული ფილმების მოკლე მიმოხილვა.

„მესამედი საუკუნე - საქართველო-ჩინეთი“

2024 წლის ოქტომბერში, საქართველოს პარლამენტისა და ჩინეთის საელჩოს ორგანიზებით, გაიმართა “ქართული ოცნების” პარლამენტის დეპუტატის, ირაკლი მეზურნიშვილის მიერ გადაღებული ფილმის პრემიერა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები. ღონისძიებაზე საქართველოსა და ჩინეთის ურთიერთობების განვითარების მაღალ დონეზე ირაკლი კობახიძემ ისაუბრა.

„მესამედი საუკუნე - საქართველო-ჩინეთი“ მიმოიხილავს ქართულ-ჩინური ურთიერთობების სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის, პოლიტიკურ-დიპლომატიურ კავშირებს, ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობას. ფილმის ნარატივი მიანიშნებს, რომ მისი შექმნის მთავარი მიზანი ჩინეთის „საიმედო პარტნიორის“ როლში წარმოჩენა და ქართულ აუდიტორიაში პროჩინური სენტიმენტების გაძლიერებაა.

ფილმში ფიგურირებენ საქართველოში ჩინეთის ელჩი ჭოუ ციენი (2022-2026), „ქართული ოცნების“ პრემიერი ირაკლი კობახიძე, ჩინეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პაატა კალანდაძე და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ვოლსკი. ჩინეთში გადაღებული კადრების ფონზე, ისინი საუბრობენ პეკინთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, ასევე, ორ ქვეყანას შორის ტურიზმის, ვაჭრობისა და საქართველოში ჩინეთიდან ინვესტიციების ზრდაზე.

“მე მიყვარს ხარპინი, ჩვენ ყველა ხარპინელები ვართ”

2025 წლის დეკემბერში საქართველოში ჩინეთის საელჩომ გამოაქვეყნა ხარპინის ადგილობრივი მთავრობის საგარეო საქმეთა ოფისის და ხარპინის მაუწყებლობისა და სატელევიზიო სადგურის ერთობლივი ინიციატივით გადაღებული დოკუმენტური ფილმი: “მე მიყვარს ხარპინი, ჩვენ ყველა ხარპინელები ვართ.” ფილმი ეხება მე-19 და მე-20 საუკუნეებში ხარპინში მცხოვრებ ქართველებს.

2025 წლის სექტემბერში ფილმის გადასაღებად თბილისში ჩამოსულ ხარპინის დელეგაციას თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა, ვახტანგ ლომჯარიამ უმასპინძლა. შეხვედრაზე მხარეებმა ხარპინსა და საქართველოს შორის ისტორიულ კავშირებზე ისაუბრეს. შეხვედრის შესახებ თბილისის მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ფილმის მომზადების პროცესში მონაწილეობდნენ ჩინელი და ქართველი დოკუმენტალისტები, რომლებმაც შეისწავლეს ხარპინში მცხოვრები ქართული დიასპორის შესახებ ქართულ წყაროებში დაცული მასალები და ხარპინელი ქართველების პირადი საოჯახო არქივები.

ორმხრივი ურთიერთობების შესახებ საუბრისას ჩინეთის ოფიციალური პირები, ხშირად, ისტორიულ კავშირებზე ამახვილებენ ყურადღებას. ხსენებული დოკუმენტური ფილმიც აღნიშნულ მიდგომას ეხმიანება. ფილმში თხრობა იწყება საქართველოში ჩინელი ლიუს მიერ ჩაის კულტურის განვითარების ისტორიით და სრულდება თანამედროვე ურთიერთობების აღწერით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მე-19 და მე-20 საუკუნეებში ხარპინში მცხოვრები ქართველების ქრონიკებს. ხარპინი წარმოჩენილია, როგორც მოწინავე ჩინური ქალაქი, რომელსაც საქართველოსთან ღრმა ისტორიული კავშირები აქვს.

“კულტურა გადაარჩენს სამყაროს”

2026 წლის დასაწყისში საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებით და მხარდაჭერით გადაღებული კიდევ ერთი დოკუმენტური ფილმი გამოქვეყნდა - “კულტურა გადაარჩენს სამყაროს”. გავრცელებული ინფორმაციით, ფილმის მიზანია, რეგიონალური და გლობალური მშვიდობის ხელშეწყობაში საქართველოს როლი წარმოაჩინოს. ფილმის მთავარი გმირი კვლავაც საქართველოში ჩინეთის ელჩი ჭოუ ციენია (2022-26); ასევე, ხანგრძლივად საუბრობს საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციის[5] პრეზიდენტი პროფესორი თამარ ცინცაძე და დეპუტატი ვლადიმერ ბოჟაძე. თუმცა, ამჯერად რესპოდენტებს შორის გვხვდება საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის პრეზიდენტი იციკ მოშეც.

მიუხედავად ფილმის სახელისა, რომელიც კულტურის, როგორც სახელმწიფოების დამაკავშირებელი ფენომენის როლზე უნდა ყოფილიყო, რეალურად, ის საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების წარმოჩენას უფრო ემსახურება. ფილმში საქართველო-ისრაელის ურთიერთობების საკითხს მხოლოდ 3 წუთი ეთმობა მაშინ, როდესაც, მაგალითად, ჩინეთის ელჩი 11 წუთის და 40 წამის განმავლობაში საუბრობს ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, სი ძინპინის გლობალურ ინიციატივებსა და ჩინეთის როლზე. შესაბამისად, მივიღეთ კიდევ ერთი პროპაგანდისტული მასალა ჩინეთის გლობალური როლის შესახებ, ამჯერად საქართველოს გადასახადის გადამხდელების დაფინანსებით.

ფილმში ჩინეთის ელჩის ინტერვიუ სცდება საქართველო-ჩინეთის კულტურული კავშირების თემატიკას და მოიცავს ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების, ტურისტული, საგანმანათლებლო კავშირების საკითხებს. ინტერვიუს დასასრულს, ჭოუ ციენი საერთაშორისო ურთიერთობების და გეოპოლიტიკური დაპირისპირებების შესახებ ჩინეთის ხედვებზე ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, თანამედროვე მსოფლიოში კაცობრიობისთვის გამოსავალი სი ძინპინის გლობალურ ინიციატივებშია. ასევე, ციენი ბუნდოვნად მიანიშნებს ჰეგემონიზმზე და სხვებისთვის ცივილიზაციური ღირებულებების თავს მოხვევის თუ იდეოლოგიური დაპირისპირებების მიუღებლობაზე. მსგავსი ნარატივი სახალხო რესპუბლიკის ოფიციალური დისკურსის ნაწილია და, ძირითადად, დასავლეთის წინააღმდეგ არის მიმართული.

საყურადღებოა, რომ ფილმი სრულდება „ქართული ოცნების“ დეპუტატის, ვლადიმერ ბოჟაძის შემდეგი სიტყვებით:

“

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია **ჩინეთთან პარტნიორობა, სხვა ჩვენ ტრადიციულ მეგობარ სახელმწიფოებთან, იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად გავაღრმავოთ პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ურთიერთობები.“**



5. საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოება წარმოადგენს არასამეწარმეო იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნდა 2010 წლის 12 მარტს. ორგანიზაციის დირექტორია თამარ ცინცაძე, ხოლო თანამონაწილეები არიან გიორგი კუჭავა და ემილია ალავერდოვი.

2026 წლის 25 თებერვალს გამართულ ფილმის პრემიერას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის, კულტურის სამინისტროს, ეროვნული კინოცენტრის, საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციის და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა ჩინეთის ელჩი, ჭოუ ციენი, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩინეთი მზადაა, „გლობალური ცივილიზაციის ინიციატივის“ ფარგლებში, საქართველოსთან ითანამშრომლოს.

პუბლიკაციები და სტატიები ჩინეთზე

დოკუმენტური ფილმების გარდა, გაზრდილია ჩინეთის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციებისდასხვაწერილობითიმასალებისრაოდენობა.მსგავსიინიციატივების ნაწილი უშუალოდ საქართველოში ჩინეთის საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება. მაგალითად, 2025 წელს საქართველოში ჩინეთის საელჩომ ორგანიზება გაუკეთა ესეების კონკურსს - „მე და ჩემი ჩინური ამბავი“. კონკურსის გამარჯვებული გახდა ხელისუფლებისადმი ლოიალური ტელეკომპანიის, „იმედის“ ტელეწამყვანი ნატალია მახვილაძე. საინტერესოა, რომ კონკურსანტებს შორის, ასევე, იყვნენ სხვადასხვა სამინისტროსა და სახელმწიფო უწყების, მათ შორის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკის სამინისტროს და ტურიზმის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ ჩინეთის საელჩოს მიერ ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეობა მხოლოდ მედიის წარმომადგენლებით არ შემოიფარგლება და მასში საჯარო სექტორის წარმომადგენლებიც აქტიურად არიან ჩართულნი.

კონკურსში მეორე ადგილი დაიკავა საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტის, თამარ ცინცაძის წიგნმა - „ჩემი აბრეშუმის გზა ჩინეთისკენ.“ აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 9 ივლისს, საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციის ორგანიზებით, გაიმართა აღნიშნული წიგნის პრეზენტაცია. ღონისძიებას ესწრებოდნენ ჩინეთის ელჩი, საქართველო-ჩინეთის „აბრეშუმის გზის“ კულტურის ცენტრის თავმჯდომარე ლიუ კუანგვენი და მკვლევარი ლიანა ჯერვალიძე. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა ჩინეთის ელჩი ჭოუ ციენი, რომელმაც აღნიშნა, რომ წიგნი ქართულ საზოგადოებაში ჩინეთის შესახებ ცოდნას და ორ ქვეყანას შორის მეგობრობას გააძლიერებდა. წიგნში ავტორი ჩინეთის ცალკეულ ქალაქებში მოგზაურობის, ქვეყნის ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობებისა და ჩინური ადათ-წესების თუ ტრადიციების შესახებ საკუთარ შთაბეჭდილებებს გადმოსცემს. ელჩის თქმით, წიგნი „ბრწყინვალე ნიშანს“ დატოვებს ორი ქვეყნის ურთიერთობების ისტორიაში.

საკვლევ პერიოდში, ასევე, გამოიკვეთა, რომ ჩინეთის საელჩო სულ უფრო აქტიურად ავრცელებს წერილობით მასალებს ქართულ მედიასივრცეში. მხოლოდ 2024-2025 წლებში საქართველოში ჩინეთის ელჩის ავტორობით ექვსი დაფინანსებული სტატია გამოქვეყნდა. აღნიშნული პუბლიკაციები ემსახურებოდა საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ ჩინეთის ხედვების, ასევე, განვითარების ჩინეთის მოდელის უპირატესობების წარმოჩენას. სტატიები დასავლეთის, განსაკუთრებით კი აშშ-ს მიმართ კრიტიკულ გზავნილებსაც შეიცავდა.

ამრიგად, ქართულ მედიასივრცეში ჩინეთის ან საქართველოს ოფიციალური უწყებების მხარდაჭერით შექმნილი „დასპონსორებული“ პროჩინური აუდიოვიზუალური და წერილობითი მასალების რაოდენობის ზრდის ტენდენცია მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში პეკინის „რბილი ძალის“ ინსტრუმენტები სულ უფრო მეტად საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციისთვის გამოიყენება. ამგვარი აქტივობები, ერთი მხრივ, ჩინეთის შესახებ პოზიტიური აღქმების გავრცელებას, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებრივ სივრცეში ჩინეთთან დაკავშირებული ნარატივების გაძლიერებას ემსახურება.

ჩინური ენის სწავლება საქართველოში

საქართველოში პეკინის „რბილი ძალის“ ოპერაციები სწორედ ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციით დაიწყო. 2010-იან წლებში ჩინეთ-საქართველოს საგანმანათლებლო და კულტურული კავშირების ხელშემწყობი მთავარი აქტორი კონფუცის ინსტიტუტი იყო. თუმცა, ბოლო პერიოდში ჩინური ენის სწავლებამ საუნივერსიტეტო და სასკოლო სივრცეებიც მოიცვა.

2023 წლის 31 ივლისს, პეკინში, საქართველოსა და ჩინეთის განათლების სამინისტროებს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩინური ენის ერთობლივი სწავლების შესახებ“. დოკუმენტი განსაზღვრავს იმ ძირითად მიმართულებებსა და კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელსაც მხარეები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩინური ენის სწავლებისა და პოპულარიზაციის მიზნით განახორციელებენ.

მემორანდუმის თანახმად, ჩინეთის მხარე იღებს ვალდებულებას, საქართველოში მიავლინოს ჩინური ენის მასწავლებლები, ასევე, უზრუნველყოს მათი შრომის ანაზღაურება, დანამატები და საერთაშორისო მგზავრობის ხარჯები. გარდა ამისა, დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომლობას ჩინური ენის სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების შემუშავების მიმართულებით, ასევე, სტუდენტური და აკადემიური გაცვლითი პროგრამების განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მემორანდუმის იმპლემენტაციის ეტაპებისა და შედეგების შესახებ ოფიციალური უწყებები ანგარიშებს არ აქვეყნებენ, ღია წყაროებით ხელმისაწვდომი ინფორმაცია მიუთითებს, რომ საქართველოში ჩინური ენის სწავლების პროცესში ჩინელი მასწავლებლებიც არიან ჩართულნი. მაგალითად, 2025 წლის 8 ივლისს, თბილისის 102-ე საჯარო სკოლამ გაავრცელა ვიდეო, რომელშიც სკოლის წარმომადგენლები ჩინური ენის მასწავლებელს, მენ კონგს ემშვიდობებიან.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ქართულ სკოლებში პირველი უცხო ენა არის ინგლისური ენა, რომელიც პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით ისწავლება. მეორე უცხო ენის სწავლება იწყება მე-5 კლასიდან და მოიცავს ისეთ ენებს, როგორიცაა ფრანგული, გერმანული, იტალიური, თურქული, რუსული და სხვა. მეორე უცხო ენას მოსწავლე/მშობელი სურვილის მიხედვით ირჩევს. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 4 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე, ჩინური ენის, როგორც მეორე უცხო ენის სტანდარტი დამტკიცებულია. შესაბამისად, სკოლები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი რესურსები, მოსწავლეებს მე-5 კლასიდან სთავაზობენ ჩინური ენის კურსებს. 2026 წლის მდგომარეობით, ჩინური ენის გაკვეთილები ტარდება 9 საჯარო სკოლაში. .

კონფუცის ინსტიტუტები

ორი ქვეყნის განათლების სამინისტროს შორის თანამშრომლობის მიღმა, საქართველოში ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციაში წამყვან როლს თამაშობენ კონფუცის ინსტიტუტები. 2026 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოში უნივერსიტეტების ბაზაზე ფუნქციონირებს 2 კონფუცის ინსტიტუტი და 1 კონფუცის კლასი. თბილისის თავისუფალი და „ალტე“ უნივერსიტეტების ბაზაზე კონფუცის ინსტიტუტებს აქვთ 20-ზე მეტი ფილიალი საშუალო სკოლებში, ხოლო ყოველწლიურად ინსტიტუტების მიერ მიღებული სტუდენტების რაოდენობა 1000-ს აღემატება.

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში კონფუცის ინსტიტუტი 2010 წლიდან ფუნქციონირებს. ინსტიტუტის პარტნიორია Zhengzhou University. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით, კონფუცის

ინსტიტუტის მიზანია, „ხელი შეუწყოს ქართული საზოგადოების მიერ ჩინეთის უკეთ შეცნობას“. ინსტიტუტი დაინტერესებულ პირებს ჩინური ენის სწავლის და ჩინეთში სტაჟირების გავლის შესაძლებლობას სთავაზობს. ამასთანავე, ინსტიტუტი ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა პროგრამასა და კონკურსს როგორც სტუდენტებისთვის, ისე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.





თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტი ჩინეთთან მჭიდრო კავშირებით გამოირჩევა. 2024 წლის ივლისში ინსტიტუტს ეწვია ჩინეთის განათლების სამინისტროს ენების სწავლებისა და თანამშრომლობის ცენტრის დელეგაცია. ვიზიტის მიზანი იყო ჩინეთ-საქართველოს შორის საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოში ჩინური ენის სწავლების ხელშეწყობა. ვიზიტის ფარგლებში, ასევე, გაიმართა კონფუცის ინსტიტუტის ენის საგამოცდო ცენტრის გახსნის ცერემონია.

საქართველოში კონფუცის მეორე ინსტიტუტი კიდევ ერთი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების, “ალტე” უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს 2017 წლიდან. ჩინეთიდან ინსტიტუტის პარტნიორია Lanzhou University. ინსტიტუტი უზრუნველყოფს ჩინური ენის კურსებს, კულტურული გამოცდილების სპეციალურ პროგრამებს და ენის სასერტიფიკატო გამოცდებს. 2025 წლის მდგომარეობით, ინსტიტუტის კურსებში 1200-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა.

ენის კურსების და სასერტიფიკატო გამოცდების გარდა, ინსტიტუტი სტუდენტებს ჩინეთში საზაფხულო ბანაკებში მონაწილეობას და სასტიპენდიო შესაძლებლობებს სთავაზობს. 2025 წლის აგვისტოში ინსტიტუტის ხუთ სტუდენტს, HSK გამოცდებში მიღწეული უმაღლესი შედეგების მიხედვით, ჩინური ენის მასწავლებლის სტიპენდია მიენიჭა. შერჩეულ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ, ლანჯოუს უნივერსიტეტში ენის ერთწლიან სასწავლო პროგრამაში მიეღოთ მონაწილეობა. პროგრამის ფარგლებში მათ სრულად დაუფინანსდათ სწავლის, საცხოვრებლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯები. გარდა ამისა, სტუდენტებს ყოველთვიურად 2 500 იუანის ოდენობის სტიპენდიაც დაენიშნათ.



„ალტე“ უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტი რეგულარულად ატარებს შემეცნებითი ხასიათის და კულტურულ ღონისძიებებს. 2025 წლის აპრილში ინსტიტუტში გაიმართა ჩინური ენის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ჩაის კულტურის და კალიგრაფიის კულტურის ღონისძიებები.

საქართველოში მოქმედი კონფუცის ინსტიტუტების საქმიანობა, ძირითადად, დედაქალაქს ფარავს. თუმცა, 2020 წელს, ქვეყნის ერთ-ერთ დიდ ქალაქში, ქუთაისში, ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ბაზაზე კონფუცის კლასი გაიხსნა. შედეგად, კონფუცის ინსტიტუტის საქმიანობამ პერიფერიული ზონებიც მოიცვა. ჩინეთიდან კონფუცის კლასის ოფიციალური პარტნიორია სინძიანის სამედიცინო უნივერსიტეტი (Xinjiang Medical University).



კონფუცის კლასის საქმიანობა სწორედ ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტისა და სინძიანის სამედიცინო უნივერსიტე-ტის თანამშრომლობის ფარგლებში წარიმართება. 2025 წლის 25 ნოემბერს უნივერსიტეტებს შორის გამართულ ონლაინ შეხვედრაზე აღი-ნიშნა, რომ კონფუცის კლასში „სტუდენტთა რაოდენობის ზრდა“ ფიქსირდება.

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მიხედვით, კონფუცის კლასი უზრუნველყოფს ჩინური ენის კურსებს, საგანმანათლებლო გაცვლით პროექტებს, სასერტიფიკაციო ტესტების ჩატარებას, საქართველოსა და ჩინეთს შორის კულტურული ურთიერთობების განვითარებას და სხვა.

კონფუცის კლასი აქტიურად თანამშრო-მლობს ქუთაისში საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. კერძოდ, კლასი ქართულ-ამერიკული სკოლის, „პროგრესის“ მოსწავლეებსა და პედაგოგებს ჩინური ენის კურსებს სთავაზობს.



კონფუცის კლასის ფილიალი ფუნქციონირებს კოლეჯ „იბერიაშიც“, სადაც დაინტერესებულ პირებს ჩინური ენისა და კულტურის შესწავლის შესაძლებლობა ეძლევათ. კლასი, ასევე, აქტიურად არის ჩართული საუნივერსიტეტო სივრცეშიც. 2025 წლის დეკემბერში, კონფუცის კლასის ინიციატივით და მხარდაჭერით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის სახელმძღვანელოებიც შეიძინეს.

ოფიციალურად მოქმედი კონფუცის ინსტიტუტების გარდა, საქართველოს რიგ უნივერსიტეტებში ჩინური ენა კონფუცის კლასებში ისწავლება. მაგალითად, 2018 წლიდან, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან აფილირებულმა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა (SANGU), ჩინეთის ლანჯოუს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, სასწავლო პროგრამაში ჩართო კონფუცის კლასები. ყოველწლიურად საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტებს, კონფუცის კლასის სტიპენდიების მეშვეობით, ლანჯოუს უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობა ეძლეოდათ. 2026 წლის სექტემბრის მდგომარეობით, უნივერსიტეტში ჩინური ენა ენების ცენტრში ისწავლება, ხოლო კონფუცის კლასის აქტივობების შესახებ სიახლეებს უნივერსიტეტი 2022 წლის შემდეგ აღარ ასაჯაროებს.

დასავლეთის გამოცდილება აჩვენებს, რომ კონფუცის ინსტიტუტი ჩინეთის კომუნისტური პარტიის პროპაგანდისტული გზავნილების გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ საქართველოში მოქმედი კონფუცის ინსტიტუტების საქმიანობა გამჭვირვალობის დაბალი სტანდარტით ხასიათდება. კერძოდ, დაწესებულებების მიერ ორგანიზებული ღონისძიებებისა და შეხვედრების შესახებ ნაკლები ინფორმაციაა ცნობილი. თითქმის არაფერია ცნობილი კონფუცის ინტიტუტების პროგრამების შინაარსისა და საგანმანათლებლო სტანდარტის შესახებ.

„ჩინეთის ხიდის“ კონკურსი

საქართველოში ახალგაზრდებში ჩინური ენისადმი ინტერესის გაღვივების კიდევ ერთი საშუალება ენის საერთაშორისო კონკურსებია. 2023 წელს, საქართველოსა და ჩინეთს შორის ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, მხარეები ქართველ სტუდენტებს წაახალისებენ მონაწილეობა მიიღონ „ჩინეთის ხიდის“ (Chinese Bridge) კონკურსში.

„ჩინეთის ხიდი“ ჩინეთის ენების სწავლების და თანამშრომლობის ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონკურსია, რომელიც 2002 წლიდან ტარდება. კონკურსი მოიცავს როგორც ჩინური ენის ცოდნის, ისე ჩინეთის შესახებ ინფორმაციის, კულტურისა და ხელოვნების მიმართულებით შემოქმედებითი უნარების დემონსტრირებას. კონკურსი ორ ეტაპიანია: საწყის ეტაპზე გამარჯვებულები გამოვლინდებიან ეროვნული შერჩევის საფუძველზე, ხოლო შემდგომში, წარმატებული კანდიდატები საკუთარ ქვეყანას წარადგენენ ჩინეთში გამართულ ფინალურ ეტაპზე. საბოლოოდ, გამარჯვებულებს ენიჭებათ სტიპენდიები და ეძლევათ შესაძლებლობა, სწავლა ჩინეთში გააგრძელონ.





საქართველოში „ჩინეთის ხიდის“ კონკურსი 2010 წლიდან ტარდება. საწყის ეტაპზე კონკურსის შესარჩევი ეტაპი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტისა და საქართველოში ჩინეთის საელჩოს მიერ იყო ორგანიზებული. ბოლო წლებში კი, სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი კონკურსის შესარჩევი ეტაპები ტარდება „ალტე“ უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტშიც. აღსანიშნავია, რომ „ჩინეთის ხიდის“ კონკურსების თემატიკა ხშირად მოიცავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო გზავნილებს. მაგალითად, 2024 წლის კონკურსის მთავარი თემა იყო „ერთი მსოფლიო, ერთი ოჯახი.“

საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროებში თანამშრომლობა

სასტიპენდიო პროგრამები

საქართველოსა და ჩინეთის განათლების სამინისტროებს შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს მოქალაქე ახალგაზრდებს ყოველ-წლიურად ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ჩინეთის მთავრობის სასტიპენდიო პროგრამაში. პროგრამა მოიცავს სწავლის დაფინანსებას უმაღლესი განათლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე, ასევე, მეცნიერ-მკვლევართა პროგრამებსა და ჩინური ენის შემსწავლელ კურსებს. სტიპენდია, როგორც წესი, ფარავს სწავლის საფასურს, საცხოვრებელ და სხვა აუცილებელ ხარჯებს.

საქართველოსა და ჩინეთის მთავრობების თანადაფინანსებით, ყოველწლიურად მინიმუმ 20 ახალგაზრდა სწავლას ჩინეთში აგრძელებს. პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის განცხადების მიხედვით, მხოლოდ 2019-2024 წლებში სამთავრობო სასტიპენდიო პროგრამით 200-ზე მეტმა ახალგაზრდამ ისარგებლა.

სამთავრობო სასტიპენდიო პროგრამების გარდა, ქართველი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კონფუცის ინსტიტუტის სტიპენდიები, პროვინციული და მუნიციპალური დაფინანსებები, უნივერსიტეტების სტიპენდიები და „სარტყლისა და გზის“ სტიპენდია, რომელიც „სარტყლისა და გზის“ ინიციატივაში მონაწილე ქვეყნების სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი.

უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა

ჩინეთის სამეცნიერო დიპლომატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება საქართველოში უმაღლესი განათლების სფეროა. საკვლევ პერიოდში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საქართველოსა და ჩინეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლები რეგულარულად მართავენ ორმხრივ ვიზიტებს, რომელთა მიზანია ინსტიტუციური თანამშრომლობის გაღრმავება, აკადემიური კავშირების გაფართოება და ერთობლივი ინიციატივების განვითარება. საქართველოს უნივერსიტეტების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაციის სისტემურმა ანალიზმა ჩინეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება გამოავლინა. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი ტენდენციები და თანამშრომლობის ფორმები, რაც 2023–2025 წლებში საქართველოსა და ჩინეთის უნივერსიტეტებს შორის იქნა მიღწეული:

გაცვლითი პროგრამები

საქართველოსა და ჩინეთის უნივერსიტეტები ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში აქტიურად ავითარებენ სტუდენტურ გაცვლით პროგრამებს. აღნიშნული თანამშრომლობა ორივე ქვეყნის სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, პარტნიორ უნივერსიტეტებში გარკვეული პერიოდის განმავლობაში გააგრძელონ სწავლა და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო აკადემიურ პროგრამებში. საკვლევ პერიოდში (2024-2025 წწ.) უნივერსიტეტებს შორის, სტუდენტური გაცვლითი პროგრამების განვითარების მიზნით, არაერთი თანამშრომლობის შეთანხმება გაფორმდა:

- **2024 წლის აპრილში** საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტსა და ჩინეთის რენმინის უნივერსიტეტს შორის ხელმოწერილი შეთანხმების მიხედვით, მხარეები ყოველ აკადემიურ წელიწადში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 4 სტუ-დენტს მიიღებენ. გაცვლითი თანამშრომლობის დარგები მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკის მეცნიერებებს.
- **2025 წლის 12 თებერვალს** თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწმიფო სამხატვრო აკადემიასა და პეკინის აკადემიას, Central Academy of Fine Arts CAFA შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება გაცვლითი თანამშრომლობის განვითარების შესახებ.
- **2025 წელს** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (თსუ) და პეკინის უცხო ენების უნივერსიტეტს შორის ხელმოწერილი თანამშრომლობის მემორანდუმის მიხედვით, ჩინელ სტუდენტებს თსუ-ში ქართული ენის მიმართულებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ექნებათ.

2025 წლის ივნისში მიღწეული შეთანხმების თანახმად, ჩინეთის მხარის დაფინანსებით, ყოველწლიურად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის 20 სტუდენტი სტაჟირებას გაივლის ქალაქ გუანჯოუს ჩინური მედიცინის უნივერსიტეტში.

2024 წლიდან საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ქართველ სტუდენტებს ჰონგ-კონგის თუნგ ვას კოლეჯში სწავლის შესაძლებლობას სთავაზობს. პროგრამაში გამარჯვებული სტუდენტები თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისგან და ენიჭებათ ყოველთვიური სტიპენდია.

2025 წელს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტმა, ჩინეთის "სიას" საერთაშორისო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, გამოაცხადა მობილობის პროგრამა ჩინური ენის ერთწლიან სასწავლო პროგრამაზე.

ღია წყაროებით დასტურდება, რომ საკვლევ პერიოდში ქართულ და ჩინეთის უნივერსიტეტებს შორის დაახლოებით ცხრა თანამშრომლობის შეთანხმება გაფორმდა და, ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებისა და თანამშრომლობის გაფართოების მიზნით, 12-მდე ოფიციალური შეხვედრა გაიმართა. როგორც გაფორმებულ შეთანხმებებში, ისე აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში, თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად სტუდენტური და აკადემიური გაცვლითი პროგრამების განვითარება სახელდებოდა.

საზაფხულო ბანაკები და სკოლები

ჩინეთისა და საქართველოს უნივერსიტეტების თანამშრომლობის შედარებით ახალი მიმართულებაა საზაფხულო სკოლები და ბანაკები. საკვლევ პერიოდში გამოიკვეთა, რომ მსგავსი პროგრამების ორგანიზატორები არიან როგორც საქართველოს, ისე ჩინეთის საგანმანათლებლო დაწესებულებები. ქვემოთ წარმოგიდგენთ რამდენიმე მსგავს შემთხვევას:

2025 წლის აგვისტოში, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის ორგანიზებით, ქართველმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს პეკინის ენებისა და კულტურის უნივერსიტეტში გამართულ საზაფხულო სკოლაში. პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებმა გაიარეს ენის კურსები, მონაწილეობა მიიღეს კულტურულ და შემეცნებით მასტერკლასებში და მოინახულეს ჩინეთის ღირსშესანიშნაობები.

2025 წლის ნოემბერში, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის ორგანიზებით, გუანჯოუს საერთაშორისო ეკონომიკური კოლეჯის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს კულტურულ-შემეცნებით პროგრამაში. პროექტი მოიცავდა მასტერკლასს ინგლისურ ენაში, სამუშაო შეხვედრას უნივერსიტეტის კრიმინალისტიკის ლაბორატორიაში და ასევე, ვიზიტებს თბილისში, გორში, ყაზბეგსა და სიღნაღში.

2024-2025 წლებში რიგმა ქართულმა უნივერსიტეტებმა, მათ შორის, ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა, სტუდენტებს ჩინეთის სიას უნივერსიტეტის ახალგაზრდულ ბანაკში მონაწილეობის შესაძლებლობა გააცნეს. უნივერსიტეტების ინფორმაციით, ბანაკი მოიცავდა ლიდერობის საკითხებზე ტრენინგებს, კულტურულ აქტივობებს, ჩინეთის შესახებ ლექციებსა და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს.

სტუდენტებისთვის საზაფხულო ბანაკებისა და მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამების ორგანიზება უნივერსიტეტებს შორის გაძლიერებული თანამშრომლობის მაჩვენებელია. მსგავსი ინიციატივები ადასტურებს, რომ ორმხრივი თანამშრომლობა ტრადიციული აკადემიური ურთიერთობების ფარგლებს სცდება

და ახალგაზრდებს შორის პირდაპირი კონტაქტებისა და გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობასაც გულისხმობს. მიუხედავად ამისა, ჩინეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის აღნიშნული მიმართულება ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა.

საერთო კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები

საქართველო-ჩინეთის აკადემიური თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ერთობლივი კვლევითი ცენტრებისა და ლაბორატორიების შექმნაა. ამ პროცესს ხელს უწყობს როგორც უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები, ისე ორივე ქვეყნის საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინტერესები კვლევითი და საგანმანათლებლო კავშირების გაღრმავების მიმართულებით.

საქართველოში ფუნქციონირებს არაერთი აკადემიური და არაკომერციული ორგანიზაცია, რომლის საქმიანობა ჩინეთის კვლევას, ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციას, ასევე, ორ ქვეყანას შორის საგანმანათლებლო და სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებას უკავშირდება. ბოლო წლებში, საქართველო-ჩინეთის უნივერსიტეტებს შორის გამართული შეხვედრებისა და დისკუსიების ერთ-ერთი აქტუალური თემა სწორედ ერთობლივი კვლევითი ცენტრებისა და ლაბორატორიების დაფუძნება და სამეცნიერო თანამშრომლობის გაფართოებაა. ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე 2019 წლიდან ფუნქციონირებს ჩინეთის კვლევების სამეცნიერო ინსტიტუტი, რომლის პარტნიორი ორგანიზაცია ჩინეთის მხრიდან არის ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემია. ინსტიტუტის საქმიანობა მოიცავს ჩინეთის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევას, ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელებასა და აკადემიური თანამშრომლობის ხელშეწყობას.



2025 წლის სექტემბერში, სტუ-სა და ლანჯოუს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში, დაარსდა “ჩინეთსა და საქართველოს შორის ცივილიზაციათა დიალოგისა და თანამშრომლობის კვლევითი ცენტრი.“

უნივერსიტეტის ინფორმაციით, ცენტრი, როგორც ინტერდისციპლინარული პლატფორმა, ხელს შეუწყობს „მეცნიერებაზე დაფუძნებულ დიპლომატიას“ და „საგანმანათლებლო დიალოგის“ განვითარებას.

ბოლო პერიოდში ჩინეთთან დაკავშირებულ ცენტრებს შორის განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კვლევის ცენტრი. ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით, ორგანიზაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ პლატფორმას, რომლის საქმიანობაც სამ მიმართულებას მოიცავს: კვლევა, დიალოგი და პოლიტიკის შემუშავება. ცენტრის ინფორმაციით, მისი მიზანია “საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების გაღრმავება და რეგიონული

განვითარების მოდელების ანალიზი.” ცენტრის დირექტორია ბექა ნაცვლიშვილი, რომელიც 2016-2020 წლებში საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრი და “ქართული ოცნების” დეპუტატი იყო. ნაცვლიშვილის გარდა, ორგანიზაციის დამფუძნებლებს შორის ფიგურირებს ბადრი ნაჭყებიაც, რომელიც ტელეკომპანია “ობიექტივის” გადაცემათა ციკლის, “ჩინური პანორამას” წამყვანია[6]. ამგვარად, ჩინეთის პოპულარიზაციის კამპანიაში სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ “ქართულ ოცნებასთან” დაახლოებული პირები, რომლებიც საზოგადოებრივ სივრცეში მკვეთრად ანტიდასავლური რიტორიკით გამოირჩევიან.

2025 წლის 26 სექტემბერს საქართველოში ჩინეთის საელჩოს, ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კვლევის ცენტრისა და თსუ-ს ერთობლივი ორგანიზებით ჩინეთის ანტიფაშისტურ ომში გამარჯვების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის ჩვენება გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კვლევის ცენტრის დირექტორი ბექა ნაცვლიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს ჩინეთის ისტორიული გამოცდილების უკეთ გაცნობას და გამოთქვა იმედი, რომ ფილმის მეშვეობით ქართული საზოგადოება „აღიარებს ჩინეთის მნიშვნელოვან როლს მეორე მსოფლიო ომში“.





ბოლო წლებში “ქართული ოცნების” მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ წარმოებული რეპრესიული პოლიტიკის საფუძვლად ცხადდებოდა გამჭვირვალობის სტანდარტების გაძლიერება და საგარეო ძალების გავლენის გაფართოების პრევენცია. თუმცა, ჩინეთთან დაკავშირებული ორგანიზაციების, მათ შორის, ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კვლევის ცენტრის შემთხვევაში, არაფერია ცნობილი ორგანიზაციის დაფინანსების წყაროს, მისი პარტნიორებისა და მისიის შესახებ. ამის მიუხედავად, ცენტრი ფუნქციონირებას აგრძელებს (იხ. ცენტრის ვებ-გვერდი: CCSAS).

თანამშრომლობა ჩინეთის კომპანიებთან

საქართველო-ჩინეთის საგანმანათლებლო ურთიერთობების განვითარებაში ჩინეთის კომპანიებიც მონაწილეობენ. ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებას, ისე ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და უნივერსიტეტებისთვის შესაბამისი რესურსების მიწოდებას.

6. უფრო ვრცლად იხილეთ სამოქალაქო იდეას ანგარიში: “დრაკონის გზა ქართულ მედიაში: ჩინეთი ქართულ საინფორმაციო გარემოში.”

ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე აქტიური კომპანიაა Huawei Technologies (ჰუავეი), რომელიც ჩინეთის "ციფრული დიპლომატიის"[7] ერთ-ერთ მთავარ აქტორად მიიჩნევა. ქართულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში კომპანია ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს, ატარებს ტრენინგებსა და აქვს სერტიფიცირებული კურსები. ის მხარს უჭერს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას, ასევე, მონაწილეობს უნივერსიტეტების ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურისა და სასწავლო რესურსების გაძლიერებაში შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობისა და ციფრული გადაწყვეტილებების მიწოდების გზით.



2024 წლის ოქტომბრიდან ჰუავეი საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან თანამშრომლობს. შეთანხმების ფარგლებში, კომპანია სპონსორობას უწევს სააგენტოს მიერ ორგანიზებულ საუნივერსიტეტო კონკურსს - UNI4VERSE. 2025 წელს, ჰუავეიმ კონკურსის გამარჯვებულს, საქართველოს უნივერსიტეტს პრიზის სახით მზის პანელები გადასცა.

ბოლო წლებში ჰუავეის მიერ წარმოებული ტექნოლოგიები ქართულ საგანმანათლებლო სივრცეებში ინტენსიურად ინტეგრირდება. 2025 წელს კომპანიასა და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც Huawei ICT აკადემიის გახსნას ითვალისწინებს. საყურადღებოა, რომ კომპანიასა და უნივერსიტეტს შორის მემორანდუმის გაფორმების ცერემონიას ესწრებოდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ალექსანდრე წულაძე (2024-2025), რაც „ჰუავეის" საქმიანობისადმი სახელმწიფო ინსტიტუტების დაინტერესებაზე მეტყველებს. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის დეკემბერში ჩინეთში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრსა და „ჰუავეის" ვიცე-პრეზიდენტს შორის გამართულ შეხვედრაზე, კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თბილისის ერთ-ერთ სკოლას უსასყიდლოდ გადაეცემა "სმარტ კლასის" ოთახის მოსაწყობად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა.

„ჰუავეისა" და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაფართოებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 2025 წელს ქართველმა სტუდენტებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა კომპანიის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამაში "Seeds for the Future". პროგრამა გაიმართა ჩინეთში, დუნგუანსა და შენჟენში და მასში მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები.

„ჰუავეი" არ არის ერთადერთი ჩინეთის კომპანია, რომელიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობს. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი აქტიურად პარტნიორობს როგორც ჩინეთის კომპანიებთან, ისე პეკინთან დაკავშირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კორპორაციებთან. უნივერსიტეტმა თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები უკვე გააფორმა შემდეგ ორგანიზაციებთან:

7. პეკინის "ციფრული დიპლომატიის" მიზანია ჩინეთის დადებითი საერთაშორისო იმიჯის განმტკიცება და დასავლური ციფრული ინფრასტრუქტურის ალტერნატივის შექმნა.

Zhongge Cultural Development[8] (Yiwu), Guagzhou Dajiang E-Commerce Co Ltd, "სარტყლისა და გზის" საქართველოს ბიზნეს სახლი, შენჭენის უნივერსიტეტის „სარტყელი და გზის კვლევით ინსტიტუტი" და ქ. შენჭენის „სარტყელი და გზის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების ინსტიტუტი."

საქართველოს უნივერსიტეტებსა და ჩინეთის კომპანიებს შორის თანამშრომლობა ქართველ სტუდენტებს სტაჟირებისა და პროფესიული განვითარების დამატებით შესაძლებლობებს სთავაზობს. „ჰუავეის" მაგალითი ცხადყოფს, რომ ჩინეთის კორპორაციებთან თანამშრომლობა ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს სხვადასხვა ტექნოლოგიასა და სასწავლო რესურსზე წვდომის შესაძლებლობას აძლევს. ამასთან, ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში „ჰუავეის" საქმიანობის გაფართოებას მნიშვნელოვნად ხელს უწყობს არა მხოლოდ ცალკეული უნივერსიტეტის ინიციატივები, არამედ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერა და დაინტერესებაც. შედეგად, კომპანიის ჩართულობა საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში ეტაპობრივად ღრმავდება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კავშირები ჩინეთთან

ჩინეთთან თანამშრომლობის გამო, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეას" კვლევებში არაერთხელ ფიგურირებს. საკვლევ პერიოდშიც აკადემია აქტიურად განაგრძობდა ჩინეთის ინსტიტუტებთან თანამშრომლობას.

ჩინეთთან კავშირების გაღრმავების მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა აკადემიის გენერალური მრჩევლის, გიორგი კვესიტაძის ჯეძიანის პროვინციაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში. 2025 წლის 25 აპრილს აკადემიის წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს ჩინეთის კვლევით, საგანმანათლებლო და სამეწარმეო ორგანიზაციებთან.

ვიზიტის ფარგლებში, აკადემიამ თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მიაღწია ჰანჯოუ ტინჟანის ტერიტორიული ზონის ადმინისტრაციულ კომიტეტთან, ხანგჭოუ მომავლის სამეცნიერო-ტექნიკურ ქალაქთან, ჯეძიან-ლუფუჯანის ეკოლოგიურ და სასოფლო-სამეურნეო კომპანიასთან, ჰანჯოუს მედიცინის ინსტიტუტთან, ჯეძიანის პროვინციის, ანჯის სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო ჯგუფსა და ჰუჯოუს უნივერსიტეტთან. თანამშრომლობა მოიცავდა ერთობლივი ეკოფორუმებისა და სიმპოზიუმების ორგანიზებას, კვლევითი ცენტრების შექმნისთვის სუბსიდიების გამოყოფას, ტექნოლოგიების ერთობლივ განვითარებას, ლაბორატორიების დაფუძნებას, გაცვლითი პროგრამების განხორციელებას და სხვა მიმართულებებს.

შედეგად, 2025 წელს ჩინეთში განხორციელებულმა ვიზიტმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ჯეძიანის პროვინციის სხვადასხვა სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებას შორის თანამშრომლობის გაფართოებას შეუწყო ხელი. აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საკვლევ პერიოდში ასევე აგრძელებდა თანამშრომლობას ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიასთან. თუმცა, აღნიშნული ურთიერთობები ძირითადად ჩინეთის მხარის საქართველოში ვიზიტით შემოიფარგლა და ახალი მნიშვნელოვანი თანამშრომლობითი ინიციატივების შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

8. ჩინური წყაროების მიხედვით, Zhogge Cultural Development (Yiwu) დააფუძნა ჩინეთში მცხოვრებმა ბიზნესმენმა, ისიაო ძუნმა, რომელსაც მოიხსენიებენ როგორც „ქართული კულტურის პოპულარიზაციის ელჩს." კომპანიის მიზანია ჩინური კულტურის შესახებ ცნობადობის ამაღლება საქართველოში და ქართული ღვინის კულტურის გავრცელება ჩინეთში. კომპანია თანამშრომლობს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან და სხვა ორგანიზაციებთან.

ჩინეთის „რბილი ძალის“ ოპერაციები აზერბაიჯანში

აზერბაიჯან-ჩინეთის ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობა: თანამშრომლობა კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სფეროში

ბოლო წლებში აზერბაიჯანსა და ჩინეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობები სწრაფად ვითარდება. 2024 წლის 3 ივლისს, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ასტანას სამიტის დროს, აზერბაიჯანსა და ჩინეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების შესახებ ერთობლივი განცხადება გაკეთდა. რამდენიმე თვეში, 2025 წლის 23 აპრილს, ილჰამ ალიევის ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში, ორ ქვეყანას შორის ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ დოკუმენტს მოეწერა ხელი. ამგვარად, აზერბაიჯანი გახდა პირველი ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში, რომელთანაც პეკინმა ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობა გააფორმა.





2024-2025 წლებში გამოცხადებული პარტნიორობის შეთანხმებები ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ოთხი ძირითადი მიმართულებით გულისხმობს: პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და საერთაშორისო ურთიერთობები. ამასთან, დოკუმენტებით გათვალისწინებული თანამშრომლობის ცალკეული მექანიზმები ჩინეთის „რბილი ძალის“ ოპერაციებისთვის ხელსაყრელ ინსტიტუციურ გარემოს ქმნის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის მე-9 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ორმხრივი სამეცნიერო, კულტურული, საგანმანათლებლო, ხალხთაშორისი და ჰუმანიტარული კავშირების გაძლიერებას და თანამშრომლობის კონკრეტული მექანიზმების განვითარებას.

ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის გარდა, 2025 წელს აზერბაიჯანსა და ჩინეთს შორის ჰუმანიტარული განაღმვის, მეცნიერების, ტექნოლოგიების, კულტურის, მედიის და კოსმოსში თანამშრომლობის შესახებ 8 სხვადასხვა დოკუმენტს მოეწერა ხელი. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გაძლიერების აქტიურ მექანიზმებს წარმოადგენდა ორმხრივი ვიზიტები და შეხვედრები.

ჩინეთ-აზერბაიჯანის დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებას ხელს უწყობს პეკინის მიმართ აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. 2024-2025 წლებში ალიევის მიერ გაკეთებულ განცხადებებში მკაფიოდ ჩანდა სურვილი ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების მიმართ. 2025 წელს, სი ძინპინისთვის გაგზავნილ წერილში, ალიევი ჩინეთთან ურთიერთობების განვითარებას აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად ასახელებდა.

2023-2025 წლებში ალიევი საჯარო გამოსვლებში მხარს უჭერდა ორ ქვეყანას შორის საგანმანათლებლო და კულტურული ურთიერთობების განვითარებასაც.

მაგალითად, 2025 წლის აპრილში, ჩინეთის სახელმწიფო მედია CGTN-სთვის მიცემულ ინტერვიუში, ალიევმა ერთობლივი ჩინურ-აზერბაიჯანული უნივერსიტეტის შექმნის შესაძლებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური დაახლოების პარალელურად, მნიშვნელოვანია ხალხებს შორის ურთიერთობებისა და "მეგობრობის" გაღრმავება.

ჩინეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობების განვითარების აღმავალი დინამიკა ასევე უკავშირდება ჩინეთის საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიას. სახალხო რესპუბლიკა ხელმძღვანელობს „შიდა საქმეებში ჩაურევლობის" პრინციპით მაშინ, როდესაც დასავლეთის ქვეყნები ალიევს, ადამიანის უფლებების დარღვევის და მძიმე პოლიტიკურ-სოციალური რეპრესიების გამო, ხშირად აკრიტიკებენ. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ჩინეთის ნეიტრალური დამოკიდებულება მას აზერბაიჯანისთვის სანდო და სასურველ პარტნიორად აქცევს.

2023-2025 წლებში ქვეყნებს შორის კავშირების ინტენსიფიკაციის შედეგი იყო ის პროფესიული განვითარების პროგრამები, რომელშიც აზერბაიჯანის საჯარო მოხელეები მონაწილეობდნენ. საკვლევ პერიოდში, აზერბაიჯანის სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლები რეგულარულად მონაწილეობდნენ ჩინეთში გამართულ პროგრამებში:

• 2025 წლის იანვარში აზერბაიჯანის ჯარის ოფიცრებმა ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის სახმელეთო ჯარების აკადემიის "შტაბის ოფიცრის კურსი" გაიარეს.

• 2025 წლის აპრილში აზერბაიჯანის გენერალური პროკურატურის დელეგაციას ჩინეთში ჩაუტარდა სემინარები საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის, ელექტრონული მტკიცებულებების, კიბერდანაშაულების, სასამართლოებში პროკურორის როლის და სისხლის სამართლებრივი პროცესის გაციფრულების შესახებ.





აზერბაიჯანის რესპუბლიკის საჯარო მოხელეების მიერ ჩინეთში გამართულ ტრენინგებსა და სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა მიუთითებს, რომ ოფიციალური ბაქო პეკინს სანდო პარტნიორად განიხილავს. ამ კონტექსტში, ჩინეთის ცენზურასა და მკაცრ სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საგანმანათლებლო სისტემა ალიევის ავტორიტარული რეჟიმისთვის მისაღებ თანამშრომლობის ფორმატებს ქმნის.

თანამშრომლობა მედიებს შორის: ჩინეთის დადებითი იმიჯის შექმნა

ორმხრივი დიპლომატიურ-პოლიტიკური კავშირების გაღრმავების კვალდაკვალ, აზერბაიჯანის საინფორმაციო სივრცეში ჩინეთის მიმართ დადებითი აღქმები სულ უფრო მკაფიოდ ჩანს. ქვეყნის წამყვანი მედიასაშუალებები, რომლებიც, ძირითადად, სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარებიან, მჭიდროდ თანამშრომლობენ ჩინეთის საინფორმაციო კორპორაციებთან. მედიის სფეროში ჩამოყალიბებული ურთიერთობები ხელს უწყობს ჩინეთისთვის მისაღები ნარატივებისა და დისკურსების გავრცელებას აზერბაიჯანულ საზოგადოებაში.

ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი მედიასაშუალება, აზერბაიჯანის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო, თანამშრომლობს ჩინეთის ისეთ მედია ორგანიზაციებთან, როგორებიცაა China Daily Group, Xinhua News Agency, Zhenmin Zhibao, Shanghai Media Group, China Media Group. მედიებს შორის თანამშრომლობა მრავალფეროვანია და მოიცავს ინფორმაციის, კადრებისა და პროფესიული გამოცდილების გაცვლას, ერთობლივ პროექტებში მონაწილეობას, საერთაშორისო პლატფორმებზე ურთიერთმხარდაჭერას, სტაჟირების შესაძლებლობებს სტუდენტებისთვის, ორმხრივი ვიზიტების განხორციელებას და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებას.

2025 წლის აგვისტოში, აზერბაიჯანელმა ჟურნალისტებმა მონაწილეობა მიიღეს საინფორმაციო სააგენტო China News Service-ის მიერ ორგანიზებულ მედიატურში. პროგრამის ფარგლებში, აზერბაიჯანელი ჟურნალისტები სააგენტოს სინძიანის ხელმძღვანელობას შეხვდნენ. ჩინური მხარის მიერ ორგანიზებული მსგავსი მედიატურები ხელს უწყობს სახალხო რესპუბლიკის პოზიტიური იმიჯის წარმოჩენას და პეკინის მიმართ ლოიალური საინფორმაციო გარემოს ფორმირებას. საყურადღებოა, რომ ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი მსგავსი პროგრამები სინძიანის რეგიონში ვიზიტებსაც მოიცავს. აღნიშნული პრაქტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც ჩინეთი სინძიანის უიღური მუსლიმების უფლებების დარღვევის ბრალდებების გამო საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკის ობიექტი ხდება. მედიატურების ფარგლებში, ოფიციალური პეკინი ცდილობს უცხოელ ჟურნალისტებს საკუთარი ხედვა გააცნოს და დაარწმუნოს, რომ სინძიანთან დაკავშირებით დასავლურ მედიაში გავრცელებული კრიტიკული შეფასებები უსაფუძვლოა და რეგიონში უიღურები ნორმალურ პირობებში ცხოვრობენ.

საქართველოსგან განსხვავებით, აზერბაიჯანის საინფორმაციო სივრცეში ჩინეთის შესახებ აუდიო-ვიზუალური მასალა ნაკლებად ხელმისაწვდომია. თუმცა, ზოგიერთი მედიასაშუალება ჩინეთთან დაკავშირებულ თემებზე ექსკლუზიურ სიუჟეტებს ამზადებს. მაგალითად, აზერბაიჯანის ახალმა ინგლისურენოვანმა მედიასაშუალებამ, AnewZ-მა 2025 წელს გამოაქვეყნა დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით: „ჩინეთის გლობალური ხედვა: გზის და სარტყლის ინიციატივა.“





ფილმში საუბარია შუა დერეფანზე, მსოფლიო პოლიტიკაში ჩინეთის მზარდ როლზე, აზერბაიჯან-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობებზე, ქვეყნებს შორის მწვანე ენერგიისა და ციფრული ტრანსფორმაციის სფეროებში თანამშრომლობაზე, აზერბაიჯანში ჩინეთის ინვესტიციების პოტენციურ მიმართულებებსა და სხვა საკითხებზე.

ფილმი ჩინეთის კომუნისტური პარტიის საქმიანობის შესახებ დადებით ნარატივებზეა აგებული. კერძოდ, მასში ხაზგასმულია სახალხო რესპუბლიკის განვითარების მოდელის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური წარმატებისთვის:

„მისი დაარსების მომენტიდან დღემდე, პარტიამ ცენტრალური როლი ითამაშა ჩინეთის ტრანსფორმაციაში, გააერთიანა ხალხი, გაუძღვა ეკონომიკურ რეფორმებს, განავითარა ტექნოლოგიები და ჩაერთო გლობალურ პროცესებში.“

საქართველოს მსგავსად, აზერბაიჯანშიც ჩინეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა სულ უფრო აქტიურად ავრცელებს ოფიციალური პეკინის გზავნილებს. მხოლოდ 2024-2025 წლებში, აზერბაიჯანულმა სამთავრობო მედია არხებმა ჩინეთის საელჩოს მიერ მომზადებული 5 სტატია გამოაქვეყნეს.

ჩინური ენის სწავლება აზერბაიჯანში

ოფიციალური ჩინური და აზერბაიჯანული წყაროების ინფორმაციით, აზერბაიჯანში ჩინური ენის მიმართ ინტერესი იზრდება. 2024 წლის დეკემბერში აზერბაიჯანში ჩინეთის დროებით საქმეთა რწმუნებულმა, დინ ტაომ განაცხადა, რომ ქვეყანაში ჩინურ ენას 8000-ზე მეტი ადამიანი სწავლობს.

ჩინური ენის მიმართ აზერბაიჯანის მოქალაქეების ინტერესის ზრდა მნიშვნელოვანწილად ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ინტენსიფიკაციით არის განპირობებული. ამ ტენდენციის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ჩინური ენის პოპულარიზაციაში აზერბაიჯანის პრეზიდენტი და მისი ოჯახის წევრები უშუალოდ არიან ჩართულნი. 2025 წლის 17 მარტს, ერთ-ერთ გამოსვლაში, ჰეიდარ ალიევის ფონდის[9] ვიცე-პრეზიდენტმა და ილჰამ ალიევის უფროსმა შვილმა, ლეილა ალიევამ აღნიშნა, რომ მისი ოჯახის წევრები დაინტერესებული არიან ჩინური კულტურით. მისი თქმით, ჩინურს მისი ქალიშვილიც სწავლობს.

2019 წლიდან, ჰეიდარ ალიევის ფონდის ინიციატივითა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის, აზერბაიჯანის ენების უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტის და პეკინის უცხო ენების უნივერსიტეტის ერთობლივი ორგანიზებით, ტარდება ჩინური ენის ონლაინ კურსები. ონლაინ კურსები ხელმისაწვდომია ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებისთვის. კურსები ტარდება კვირაში 3-ჯერ და გრძელდება 3 თვე. პროგრამის ყოელთვიური საფასური 60 აზერბაიჯანული მანათია (≈35 აშშ დოლარი). ომში დაღუპულებისა და ვეტერანების ოჯახების, ასევე, სოციალურად დაუცველი პირების სწავლის საფასურს ჰეიდარ ალიევის ფონდი იხდის.

აქვე აღსანიშნავია, რომ ჰეიდარ ალიევის ფონდი აქტიურად თანამშრომლობს ჩინეთის საელჩოსთან არა მხოლოდ ენის სწავლების მიმართულებით, არამედ სხვადასხვა სოციალური ინიციატივის ფარგლებშიც. 2024 წლის 26 ოქტომბერს აზერბაიჯანში ჩინეთის საელჩომ, ფონდთან ერთად, ყარაბაღის ომში

9. აზერბაიჯანის მესამე პრეზიდენტის, ჰეიდარ ალიევის სახელობის ფონდი 2004 წელს შეიქმნა. ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით, ფონდი შექმნილია ჰეიდარ ალიევის საპატივსაცემოდ და მიზნად ისახავს დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ისტორიაში ალიევის წვლილის, მისი არამატერიალური მემკვიდრეობის და ეროვნული სახელმწიფოებრიობის იდეების პოპულარიზაციას. ფონდის პრეზიდენტია ილჰამ ალიევის მეუღლე, მეჰრიბან ალიევა, ხოლო ფონდის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას იკავებს ალიევის ქალიშვილი, ლეილა ალიევა.

გარდაცვლილების და დაბალშემოსავლიანი ოჯახების შვილებისთვის საშემოდგომო ღონისძიებას უმასპინძლა. ბავშვები დასაჩუქრდნენ ელექტროაპარატურით. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა ჩინეთის საქმეთა რწმუნებული, რომელმაც აღნიშნა, რომ საელჩომ ფონდთან ერთად რამდენიმე სოციალური და საქველმოქმედო პროექტი განახორციელა.

ამგვარად, აზერბაიჯანის შემთხვევაში იკვეთება ტენდენცია, რომ ქვეყნის მმართველი ელიტის წარმომადგენლები უშუალოდ არიან ჩართული ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციაში. აღნიშნული გარემოება, ერთი მხრივ, მიუთითებს ჩინეთის მიმართ ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის პოზიტიურ დამოკიდებულებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის ხელსაყრელ გარემოს ჩინეთის „რბილი ძალის“ ინსტრუმენტების, მათ შორის, ენობრივი და კულტურული დიპლომატიის გასავრცელებლად.

კონფუცის ინსტიტუტები აზერბაიჯანში

ჰეიდარ ალიევის ფონდისა და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების ინიციატივების მიღმა, აზერბაიჯანში ჩინური ენისა და კულტურის გავრცელების მთავარი აქტორი კონფუცის ინსტიტუტია. ამჟამად ქვეყანაში კონფუცის ორი ინსტიტუტი ფუნქციონირებს. აღნიშნულ დაწესებულებებს სხვა უნივერსიტეტებსა და სკოლებშიც აქვთ ფილიალები გახსნილი.

აზერბაიჯანში კონფუცის პირველი ინსტიტუტი 2011 წლის 22 აპრილს ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა. ინსტიტუტის ჩინელი პარტნიორი დაწესებულებაა ანჰუის უნივერსიტეტი. 2022 წლის მონაცემებით, ინსტიტუტს ჰყავდა 6000 რეგისტრირებული სტუდენტი.





ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტის საქმიანობა მოიცავს ყველაფერს, რაც ტრადიციულად კონფუცის ინსტიტუტებისთვის არის დამახასიათებელი. ინსტიტუტი პერიოდულად ატარებს ჩინური ენის ცოდნის გამოცდებს და დაინტერესებულ სტუდენტებს ჩინეთის სასტიპენდიო პროგრამების შესახებ აწვდის ინფორმაციას. ამასთან, კონფუცის ინსტიტუტი უნივერსიტეტის ფილოლოგიის პროგრამის - „ჩინური ენა და ლიტერატურა“ სტუდენტებისთვის ენის კურსებს ატარებს. ინსტიტუტი, ასევე, მონაწილეობს სტუდენტებისთვის ანჰუის უნივერსიტეტში საზაფხულო სკოლების ორგანიზებაში.

აზერბაიჯანის კონფუცის მეორე ინსტიტუტი აზერბაიჯანის ენების უნივერსიტეტში 2016 წლის 24 ივნისს გაიხსნა. ჩინეთიდან ინსტიტუტის პარტნიორი ჰუჭოუს უნივერსიტეტია (Huzhou University). აზერბაიჯანის მხრიდან ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობას ოფიციალურად იკავებს რაფიკ აბასოვი. 2025 წლის მონაცემებით, ჩინეთის მხრიდან ინსტიტუტის დირექტორია ლი ჯიჰუა.

დაწესებულების მიერ შემოთავაზებული მომსახურება მოიცავს კონფუცის ინსტიტუტისთვის დამახასიათებელ აქტივობებს: ჩინური ენისა და კულტურის კურსები, ტრენინგები, ენის ცოდნის შეფასების გამოცდები, ჩინური კულტურის შესახებ ღონისძიებები და სხვა. კონფუცის ინსტიტუტს ფილიალები აქვს ბაქოს მუსიკის აკადემიაში, აზერბაიჯანის არქიტექტურისა და მშენებლობის უნივერსიტეტში და ბაქოს ახალგაზრდულ ცენტრში.

საყურადღებოა, რომ ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან შედარებით, აზერბაიჯანის ენების უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტის საქმიანობა გაცილებით მაღალი საჯაროობით გამოირჩევა. ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ნებისმიერი შეხვედრის, ინიციატივის თუ ღონისძიების შესახებ უნივერსიტეტი ინფორმაციას აქტიურად აქვეყნებს. სწორედ აზერბაიჯანის ენების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ანალიზი აჩვენებს, რომ კონფუცის ინსტიტუტი ჩინეთის კომუნისტური პარტიის აქტიურ პროპაგანდას ეწევა.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებოა თავად ინსტიტუტის დირექტორის, რაფიკ აბასოვის საქმიანობა და მისი კავშირები ჩინეთის პოლიტიკურ ინსტიტუტებთან. 2022 წელს რაფიკ აბასოვმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ სტატიების კონკურსში გაიმარჯვა. კონკურსი ეხებოდა „ახალ ეპოქაში ჩინეთის კომუნისტურ პარტიას“. აბასოვმა სტატიაში ყურადღება გაამახვილა ახალი აზერბაიჯანის პარტიასა და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას შორის დიალოგის და ურთიერთობების დადებით დინამიკაზე.

რაფიკ აბასოვის ზედამხედველობით, აზერბაიჯანის ენების უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტში რეგულარულად იმართება ჩინური ენის, კულტურის, ისტორიის, პოლიტიკის და ჩინეთის ეროვნული დღესასწაულების შესახებ შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები. კონფუცის ინსტიტუტის საქმიანობა ხშირად საგანმანათლებლო მანდატს სცილდება და კომუნისტური პარტიისა და აზერბაიჯან-ჩინეთის ორმხრივი ურთიერთობების შესახებ პროპაგანდასაც მოიცავს. მაგალითად, 2025 წლის თებერვალში, კონფუცის ინსტიტუტში, აზერბაიჯანში ჩინეთის საელჩოს და ახალი აზერბაიჯანის პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთობლივი ინიციატივით, ჩატარდა სამეცნიერო სემინარი: „ჩინეთსა და აზერბაიჯანს შორის სახელმწიფოთაშორისი და პარტიებს შორის კავშირები.“ ღონისძიებას ესწრებოდნენ ჩინეთის საელჩოს, აზერბაიჯანის მილი მეჯლისის და მმართველი პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები. შეხვედრის დასასრულს, რაფიკ აბასოვმა სტუმრებს საჩუქრად გადასცა კონფუცის ინსტიტუტის მიერ გამოცემული წიგნი - „ჰეიდარ ალიევი - 101. აზერბაიჯანი-ჩინეთი (1993-2003)“.

აზერბაიჯანში მოქმედი კონფუცის ინსტიტუტები ჩინეთის „რბილი ძალის“ გავლენის გავრცელების მთავარი საშუალებებია. ამასთან, აზერბაიჯანის ენების უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტის საქმიანობის მაგალითი ცხადყოფს, რომ ინსტიტუტის ფუნქცია, რიგ შემთხვევებში, მხოლოდ ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციით არ შემოიფარგლება და მოიცავს ჩინეთის პოლიტიკური სისტემის, ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ პოზიტიური ნარატივების გავრცელებასაც. აღნიშნული პრაქტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კონტექსტში, როდესაც ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციას თავად აზერბაიჯანის მმართველი ელიტის წარმომადგენლები ღიად უჭერენ მხარს. შესაბამისად, ენობრივი და კულტურული დიპლომატიის ინსტრუმენტები აზერბაიჯანში უფრო ფართო პოლიტიკური და საგარეო-პოლიტიკური გავლენის ფორმირების პროცესთან იკვეთება.

„ჩინური ენის ხიდის“ კონკურსი

აზერბაიჯანში „ჩინური ენის ხიდის“ კონკურსი პირველად 2015 წელს ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა. კონკურსის მიზანი იყო აზერბაიჯანელ ახალგაზრდებში ჩინური ენისა და კულტურის მიმართ ინტერესის გაზრდა. კონკურსის ორგანიზებაში ჩართული იყვნენ როგორც კონფუცის ინსტიტუტები, ისე აზერბაიჯანში ჩინეთის საელჩო. სწორედ ჩინეთის საელჩოს და ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტის ორგანიზებით, 2025 წლის მაისში გამართულ ჩინური ენის 24-ე საერთაშორისო კონკურსზე აზერბაიჯანში ჩინეთის ელჩი, ლუ მეი, სიტყვით გამოვიდა და ორმხრივი ურთიერთობების პროგრესისთვის ახალგაზრდებს აქტიური ჩართულობისკენ მოუწოდა.

ჩინური ენის სხვადასხვა კონკურსში, სტუდენტებთან ერთად, სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. 2025 წლის ივნისში აზერბაიჯანის ენების უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტში სკოლის მოსწავლეებისთვის ჩინური ენის „ხიდის კონკურსი” ჩატარდა, რომელსაც ჩინეთის ელჩი ასე შეეხმიანა:



> „ჩინური ენით ოცნებებისკენ, ახალგაზრდობის შესაფერისი ცხოვრება.“

საგანმანათლებლო და სამეცნიერო თანამშრომლობა

აზერბაიჯანში საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროში ჩინეთის გავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია „საუნივერსიტეტო დიპლომატია“. 2024-2025 წლებში ჩინეთისა და აზერბაიჯანის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის დინამიკის შესწავლამ ორმხრივი კავშირების მრავალფეროვანი და ინტენსიური ხასიათი გამოავლინა. აღნიშნულ პერიოდში აზერბაიჯანისა და ჩინეთის უნივერსიტეტებს შორის 10-ზე მეტი შეთანხმება და ხელშეკრულება გაფორმდა. ხელმოწერილი დოკუმენტები თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულებას მოიცავდა: კვლევითი პროექტების განხორციელება, აკადემიური გაცვლითი პროგრამები, სასწავლო მასალების გაცვლა, ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება, ორმაგი სადიპლომო პროგრამების შექმნა, ერთობლივი კვლევითი ცენტრების დაფუძნება და სხვა.

გაცვლითი პროგრამები

აზერბაიჯანსა და ჩინეთს შორის განათლების სფეროში არსებული შეთანხმებების ფარგლებში, ორივე ქვეყნის მოქალაქეებს მეორე ქვეყანაში სწავლის გაგრძელების და აკადემიურ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევათ. საყურადღებოა, რომ საგანმანათლებლო თანამშრომლობის გაღრმავების შედეგად 2024–2025 წლებში ორივე მიმართულებით სტიპენდიანტთა რაოდენობა გაიზარდა. გაზრდილია სტუდენტებისთვის სასწავლო ვიზიტებსა და მოკლევადიან პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებიც.

2024 წელს, სამთავრობო სტიპენდიების პროგრამის ფარგლებში, აზერბაიჯანში დაფინანსებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მოიპოვა ჩინეთის 11-მა მოქალაქემ. ამავე წელს, აზერბაიჯანის 28 მოქალაქემ ჩინეთში სამთავრობო სტიპენდიით გააგრძელა სწავლა.

2025 წელს აზერბაიჯანის მთავრობის სტიპენდია მოიპოვა ჩინეთის 23-მა მოქალაქემ, ხოლო აზერბაიჯანიდან 43-მა სტუდენტმა სწავლა ჩინეთში გააგრძელა.

2024 წელს ჩინეთის ჰონგ კონგის უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტებმა აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკურ უნივერსიტეტში აკადემიურ გაცვლით პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა.

2024 წელს ბაქოს ნავთობის უმაღლესი სკოლის სტუდენტებმა ჩინეთის ნავთობის უნივერსიტეტის ნავთობის და გაზის ინჟინერიის მიმართულებაზე გააგრძელეს სწავლა.

2025 წლის აპრილში ბაქოს საინჟინრო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ჩინეთის ნინგხიას პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში „მონაცემთა ანალიზის“ შესახებ სატრენინგო პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა.

გაცვლითი თანამშრომლობის ფარგლებში, ორი ქვეყნის უნივერსიტეტები საზაფხულო სკოლებსა და ბანაკებსაც მასპინძლობენ:

2024 წელს ბაქოს ნავთობის უმაღლესი სკოლის ოცმა სტუდენტმა ჩინეთის ნავთობის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში მიიღო მონაწილეობა.

2024 წლის ივლისში ჩინელმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში, რომელიც მოიცავდა ინტერაქციულ ტრენინგებს, კორპორატიული სექტორების ნახვას და რეგიონებში ვიზიტებს.

ერთობლივი და ორმაგი ხარისხის პროგრამები

ბოლო წლებში, ჩინეთისა და აზერბაიჯანის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში, რამდენიმე საბაკალავრო და სამაგისტრო ორმაგი ხარისხის პროგრამა შეიქმნა.

2023 წლის 8 დეკემბერს ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, ჩინეთის განათლების სამინისტროს ენის სწავლებისა და თანამშრომლობის ცენტრს და ანჰუის უნივერსიტეტს შორის გაფორმდა შეთანხმება „საერთაშორისო ჩინური ენის სწავლების“ ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის შექმნის შესახებ. შეთანხმების მიხედვით, ბაქოს სახელმწიფო და ანჰუის უნივერსიტეტების ერთობლივ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობა მხოლოდ აზერბაიჯანის მოქალაქეებს ექნებათ. სტუდენტები მე-3 და მე-4 კურსებს ისწავლიან ანჰუის უნივერსიტეტში და, საბოლოოდ, ორივე უნივერსიტეტის დიპლომს მიიღებენ.

2025 წლის სექტემბერში ბაქოს საინჟინრო უნივერსიტეტმა და პეკინის ქიმიური ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა, ასევე, ორმაგი სადიპლომო პროგრამის განხორციელება დაიწყეს. პროგრამა მოიცავს ქიმიური, კომპიუტერული და მექანიკური ინჟინერიის სპეციალობებს. პროგრამის ფარგლებში, ბაქოს საინჟინრო უნივერსიტეტის სტუდენტები, მე-3 და მე-4 კურსებზე სწავლას გააგრძელებენ პეკინის ქიმიური ტექნოლოგიების უნივერსიტეტში. პროგრამა ინგლისურენოვანია და, სასწავლო კომპონენტის გარდა, ითვალისწინებს ერთობლივ სამეცნიერო პროექტებს, ტექნოლოგიურ სტარტაპ-ინიციატივებს.

ერთობლივი ორმაგი ხარისხის პროგრამების შექმნა აზერბაიჯანისა და ჩინეთის უნივერსიტეტების ორმხრივი შეხვედრების აქტუალური თემაა. ამიტომ, მოსალოდნელია, რომ მსგავსი საერთო საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა მომავალშიც გაიზრდება.

ერთობლივი სამეცნიერო ღონისძიებები

აზერბაიჯან-ჩინეთის უნივერსიტეტების თანამშრომლობის ხელშეკრულებები ხშირად მოიცავს ერთობლივი სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების კომპონენტს. 2024-2025 წლებში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების პარტნიორობის ფარგლებში, საერთაშორისო კონფერენციები და სემინარები გაიმართა:

- **2024 წლის 18 სექტემბერს**, აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკურმა უნივერსიტეტისა და ჩინეთის ჰებეის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო სემინარი, სახელწოდებით: „ჩინეთი-აზერბაიჯანი მწვანე და დაბალი ნახშირბადი მდგრადი განვითარების თანამშრომლობა“.
- **2025 წლის 17 მაისს,** შანხაის საერთაშორისო კვლევების უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ფაკულტეტის და ხაზარის უნივერსიტეტის ერთობლივი ორგანიზებით, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, სახელწოდებით: „ენის ფილოსოფია, ლიტერატურა და ლინგვისტიკა.“

აღნიშნული შემთხვევები ერთობლივი სამეცნიერო ღონისძიებების არასრული ჩამონათვალია. თუმცა, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა მოიცავს არა მხოლოდ სტუდენტებისთვის განკუთვნილ შესაძლებლობებს, არამედ აკადემიური წრის წარმომადგენლებს შორის სამეცნიერო გამოცდილების და ცოდნის გაზიარების პრაქტიკას.

თანამშრომლობა “სარტყლისა და გზის” ინიციატივის ფარგლებში

აზერბაიჯან-ჩინეთის უნივერსიტეტები „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში ორგანიზებულ საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროექტებში რეგულარულად მონაწილეობენ. ამ მიმართულებით, კვლევის პროცესში დაფიქსირდა ჩინეთში გამართულ ღონისძიებებსა და საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის შემთხვევები. წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს:

- **2024 წლის 26 ოქტომბერი-3 ნოემბრის პერიოდში** ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ჩინეთის ქალაქ სიანში “სარტყლისა და გზის“ უნივერსიტეტთაშორის სტარტაპების საერთაშორისო კონკურსში მიიღეს მონაწილეობა.
- **2025 წლის ოქტომბერში** აზერბაიჯანის არქიტექტურისა და მშენებლობის უნივერსიტეტი „ერთი სარტყელი ერთი გზის არქიტექტურის უნივერსიტეტების საერთაშორისო კონსორციუმის“[10] წევრად მიიღეს.

10. კონსორციუმი 2017 წელს პეკინის მშენებლობისა და არქიტექტურის უნივერსიტეტის ინიციატივით შეიქმნა და მიზნად ისახავს მშენებლობისა და არქიტექტურის დარგებში საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერებას.

ზემოთ განხილული შემთხვევები ცხადყოფს, რომ აზერბაიჯანისა და ჩინეთის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა მოიცავს არა მხოლოდ ორმხრივ, არამედ მრავალმხრივ ფორმატებსაც. „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებსა და პროგრამებში აზერბაიჯანული საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტიური მონაწილეობა მიუთითებს ჩინეთის მიერ შემოთავაზებული “რბილი ძალის” ინიციატივების მიმართ აზერბაიჯანის საგანმანათლებლო სექტორის მზარდ მიმღებლობაზე.

თანამშრომლობა ჩინეთის კომპანიებთან

აზერბაიჯანის უნივერსიტეტების მიმართ ინტერესს ჩინეთის კერძო სექტორის წარმომადგენლებიც იჩენენ. 2024-2025 წლებში აზერბაიჯანის უნივერსიტეტებსა და ჩინეთის რიგ კომპანიებს შორის გაიმართა შეხვედრები, რომლებზეც ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილებოდა. თანამშრომლობის პოტენციურ მიმართულებებს შორის გამოიკვეთა სტუდენტური გაცვლითი პროექტები და სტაჟირების პროგრამები.

ჩინეთის კომპანიებს შორის აზერბაიჯანის საგანმანათლებლო სივრცეში განსაკუთრებული აქტიურობით „ჰუავეი“ გამოირჩეოდა. „ჰუავეის“ აზერბაიჯანის წამყვან სახელმწიფო უნივერსიტეტებთან მჭიდრო პარტნიორული კავშირები აქვს. მხოლოდ 2025 წელს კომპანიამ სამ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გააფორმა მემორანდუმი:

- ➡ აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკურ უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს „ჰუავეის“ ICT აკადემიის შექმნას, HCIA სასერტიფიკატო პროგრამის განხორციელებას, სტუდენტებისთვის საზაფხულო ბანაკის ორგანიზებას და ICT კონკურსის ჩატარებას.
- ➡ აზერბაიჯანის ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს ICT საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.
- ➡ ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი გულისხმობს ტრენინგების, ერთობლივი კვლევების და სტაჟირების პროგრამების განხორციელებას, საგანმანათლებლო და ლაბორატორიული შესაძლებლობების განვითარებას, სტარტაპ ეკოსისტემის მხარდაჭერას და ერთობლივი ინოვაციური ცენტრების შექმნას.



აზერბაიჯანელი სტუდენტები ყოველწლიურად მონაწილეობენ „ჰუავეის“ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამაში „Seeds for the Future 2025”. ამასთან, უნივერსიტეტებსა და კომპანიას შორის თანამშრომლობის ფარგლებში, აზერბაიჯანელ სტუდენტებს „ჰუავეის“ სხვა საგანმანათლებლო ინიციატივებში მონაწილეობის შესაძლებლობაც აქვთ. მაგალითად, 2025 წელს ბაქოს საინჟინრო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირის და „ჰუავეის“ ერთობლივ პროგრამაში “Generation Connect Young Leadership Programme”.

აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კავშირები ჩინეთთან

აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თანამშრომლობს როგორც ჩინეთის ანალიტიკურ და სამეცნიერო ცენტრებთან, ისე ცალკეულ საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან. 2024-2025 წლებში, აკადემიასა და ჩინეთის შესაბამის ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, არაერთი შეხვედრა გაიმართა. აკადემიამ, ასევე, ჩინელ პარტნიორებთან თანამშრომლობის რამდენიმე შეთანხმება გააფორმა.

ჩინეთთან საერთაშორისო კავშირების გაღრმავების მიზნით პროდუქტიული შეხვედრები გაიმართა 2024 წლის ივნისში, აკადემიის დელეგაციის ჩინეთში ვიზიტის დროს. გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი „ჰებეის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიასთან“, რომლის მიზანი სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერება, პრიორიტეტული მიმართულებების განვითარება და სამეცნიერო პუბლიკაციების გაცვლაა. ასევე, მემორანდუმი გაფორმდა ჩინეთის „ბიომრავალფეროვნების დაცვის და მწვანე განვითარების ფონდთან“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მსგავსად, აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაც თანამშრომლობს ჰონგ-კონგის CORE აკადემიასთან. თუმცა, ამ შემთხვევაში ინსტიტუტებს შორის პარტნიორობა შედარებით ფორმალურ ხასიათს ატარებს. კერძოდ, 2024 წელს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, აკადემიებს შორის თანამშრომლობა მოიცავს ერთობლივი სამეცნიერო პროექტების, ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელებას.

აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია და ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემია. 2025 წლის სექტემბერ-ოქტომბერში შეხვედრები გაიმართა ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის, აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ინსტიტუტის დელეგაციასა და ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის დისტანციური ზონდირებისა და ციფრული მიწის ინსტიტუტის წარმომადგენლებთან. ორივე შეხვედრის მიზანს სამეცნიერო თანამშრომლობის პოტენციური მიმართულებების განსაზღვრა წარმოადგენდა.

ამგვარად, საკვლევ პერიოდში აზერბაიჯანსა და ჩინეთს შორის სამეცნიერო თანამშრომლობა რეგულარული ინსტიტუციური კონტაქტებით ხასიათდებოდა. 2024-2025 წლებში აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, არსებული კავშირების შენარჩუნებასთან ერთად, ახალი პარტნიორული ურთიერთობების განვითარებაც დაიწყო, რაც ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო თანამშრომლობის გაფართოების ტენდენციაზე მიუთითებს.





ჩინეთის რბილი ძალის ოპერაციები ტაჯიკეთში

ტაჯიკეთ-ჩინეთის ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობა: თანამშრომლობა კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სფეროებში

ტაჯიკეთ-ჩინეთის ორმხრივი ურთიერთობები ინსტიტუციონალიზაციის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. 1990-იანი წლებიდან დღემდე, ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შესახებ 200-ზე მეტი დოკუმენტია გაფორმებული. ტაჯიკეთის პრეზიდენტ ემომალი რაჰმონს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 22 ოფიციალური ვიზიტი აქვს განხორციელებული. ამასთან, 2013 წლიდან მოყოლებული, ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ოთხი ერთობლივი განცხადებაა გაკეთებული.

2024 წლის ივლისში, სი ძინპინის ტაჯიკეთში სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში, მხარეებმა განაახლეს 2023 წელს გაფორმებული ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება და გააკეთეს ერთობლივი განცხადება „ახალი ეპოქის ყოვლისმომცველი სტრატეგიული კოოპერაციული პარტნიორობის განვითარების“ შესახებ. დოკუმენტი შვიდი ნაწილისგან შედგება და მანამდე გაფორმებული შეთანხმებებისგან განსხვავებით, უფრო მკაფიო პოლიტიკური გზავნილებითა და პროჩინური ნარატივებით ხასიათდება. ხალხთაშორისი კავშირების გაძლიერების მიმართულებით, შეთანხმება ითვალისწინებს სამეცნიერო და ტექნოლოგიური გაცვლების გაღრმავებას, ერთობლივი კვლევების განხორციელებას, ახალგაზრდა მეცნიერების გაცვლას, სამეცნიერო-კვლევითი პლატფორმების შექმნას; ასევე, თანამშრომლობის განვითარებას ჯანდაცვის, კვების უსაფრთხოებისა და ტრადიციული მედიცინის სფეროებში. დოკუმენტი ითვალისწინებს სუბეროვნულ დონეზე კავშირების დამყარებასა და ორი ქვეყნის სოციალური ორგანიზაციების თანამშრომლობის გაძლიერებას.

2025 წლის 17 ივნისს, ასტანაში გამართული „ცენტრალური აზია-ჩინეთის“ მეორე სამიტის ფარგლებში, სი ძინპინსა და ემომალი რაჰმონს შორის მორიგი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე მხარეებმა ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის შემდგომი განვითარების საკითხები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საგანმანათლებლო თანამშრომლობას, ტაჯიკი სტუდენტებისთვის სტიპენდიების გამოყოფისა და კულტურულ-ჰუმანიტარული კავშირების გაფართოების საკითხებს. საყურადღებოა, რომ შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა რამდენიმე შეთანხმებას, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების, ხელოვნური ინტელექტის, მედიისა და პროვინციების დონეზე თანამშრომლობის შესახებ.



პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების დინამიკის შესახებ ზემოთ წარმოდგენილი ფაქტები ორმხრივი კავშირების მხოლოდ მცირე ნაწილია. თუმცა, აღნიშნული მაგალითებიც ადასტურებს, რომ ტაჯიკეთ-ჩინეთის პარტნიორობა ინსტიტუციონალიზაციის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ორმხრივი ურთიერთობები ვიზიტებით, მაღალი დონის შეხვედრებითა და სტრატეგიული შეთანხმებების სიმრავლით ხასიათდება. პოლიტიკური თანამშრომლობის ინტენსიური ხასიათი დადებითად აისახება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების სხვა მიმართულებებზეც. მხოლოდ 2024-2025 წლებში განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიების, კულტურისა და მედიის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ დაახლოებით 15 შეთანხმება გაფორმდა.

ორმხრივი ურთიერთობების ინტენსიური განვითარება, გარკვეულწილად, ტაჯიკეთის მმართველი ელიტის პროჩინური საგარეო პოლიტიკური კურსით აიხსნება. ქვეყანას 1994 წლიდან ემომალი რაჰმონი მართავს, რომელმაც კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმი ჩამოაყალიბა. შედეგად, ტაჯიკეთის შიდა და საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი სწორედ ემომალი რაჰმონია. პრეზიდენტის გამოსვლებისა და განცხადებების ანალიზი აჩვენებს, რომ იგი ჩინეთთან ურთიერთობების გაფართოებას საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს. რაჰმონის დისკურსში სახალხო რესპუბლიკა წარმოჩენილია როგორც მეგობარი, რომელსაც მართავს "დიდი გამოცდილების", "ფართო ხედვისა" და "გლობალური გავლენის მქონე ლიდერი."

ჩინეთის ხატი ტაჯიკურ მედიაში

ტაჯიკეთში ჩინეთის დადებითი ხატის შექმნაში უშუალოდ მონაწილეობენ არა მხოლოდ მმართველი ელიტის წარმომადგენლები, არამედ ქვეყნის წამყვანი მედიასაშუალებებიც. თავის მხრივ, საინფორმაციო სივრცეში გავლენის დამკვიდრება პეკინისთვის მისაღები ნარატივების გავრცელებას უწყობს ხელს.

მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებული ტაჯიკური წამყვანი მედიასაშუალებები ჩინეთს მმართველი რეჟიმისათვის მისაღები ნარატივების შესაბამისად აშუქებენ. ტაჯიკეთის საინფორმაციო სივრცეში სახალხო რესპუბლიკა ხასიათდება როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი "დიდი ძალა", "მეგობარი" და "მეზობელი", რომელიც "ინტერესს იჩენს ტაჯიკეთთან ურთიერთობების განვითარების მიმართ". მედიასაშუალებები ორმხრივი ურთიერთობების აღწერისას, ძირითადად, ემოციურ ლექსიკას იყენებენ და ჩინეთს მოიხსენიებენ ისეთ პოზიტიურ კონტექსტში, როგორიცაა "ძლიერი ორმხრივი მეგობრობა", "სტრატეგიული პარტნიორობა", "ძმობა", "ურთიერთგაგება" და "კარგი მეზობლობა."





აქვე აღსანიშნავია, რომ ტაჯიკურ მედიაში ორმხრივი ურთიერთობების შესახებ პოზიტიური ნარატივების გავრცელება აიხსნება არა მხოლოდ სახელმწიფოებს შორის მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობით, არამედ ორი ქვეყნის მედიასაშუალებებს შორის არსებული ახლო კავშირებითაც. თანამშრომლობის ფარგლებში, ტაჯიკური მედიის წარმომადგენლები ჩინეთის მიერ შემოთავაზებული ტრენინგ-პროგრამებითაც სარგებლობენ.

ტაჯიკეთში ჩინეთის შესახებ დადებითი აღქმების ფორმირების ერთ-ერთი ახალი და მზარდი ინსტრუმენტია აუდიო-ვიზუალური მასალებისა და პუბლიკაციების გავრცელება, რის თაობაზეც 2024-2025 წლებში შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის არაერთი თანამშრომლობის შეთანხმება გაფორმდა. აღნიშნული შეთანხმებები მიზნად ისახავს მედიისა და კულტურული პროდუქციის გაცვლას, ერთობლივი პროექტების განხორციელებასა და საინფორმაციო თანამშრომლობის გაღრმავებას.

2025 წლის იქტომბერში ტაჯიკეთის აინის სახელობის ლიტერატურულმა ფონდმა გამოაქვეყნა წიგნი სახელწოდებით: „მეგობრები: ემომალი რაჰმონი და სი ძინპინი.“ გავრცელებული ინფორმაციით, წიგნის ავტორები არიან ტაჯიკი დიპლომატი მუჰამმად ეგამზოდი და ჩინელი პუბლიცისტი გე ჯილი. აინის სალიტერატურო ფონდის თავმჯდომარის, ერაჯ აინის განცხადებით, წიგნი ეხება „ორი ქვეყნის გამოჩენილი ლიდერების „გაუტეხავ“ მეგობრობას, რომელიც „ტაჯიკეთსა და ჩინეთს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობის სანდო საფუძველია.“

წიგნის თანაავტორი, ტაჯიკი დიპლომატი მუჰამმად ეგამზოდი, უკრაინაში ტაჯიკეთის საელჩოს მრჩეველია. მისი თქმით, „წიგნი 8 წლიანი შრომის შედეგია. ავტორებმა მიზნად დაისახეს 21-ე საუკუნის ორი გამორჩეული ფიგურის - ტაჯიკეთის პრეზიდენტის, ემომალი რაჰმონის და ჩინეთის პრეზიდენტის, სი ძინპინის ცხოვრების, საქმიანობის, პოლიტიკური კურსის და განვითარების აღწერა“. ეგამზოდის შეფასებით, სი ძინპინი და რაჰმონი პროგრესის, განვითარების და კეთილდღეობის ხელშემწყობი ლიდერები არიან.

ამგვარად, ტაჯიკეთის ავტორიტარული პოლიტიკური სისტემა, ცენზურის ეფექტურ მექანიზმებთან ერთად, ჩინეთის შესახებ დისკურსის ფორმირებისა და ფილტრაციის ფართო შესაძლებლობებს ქმნის. მკაცრი საინფორმაციო კონტროლისა და საზოგადოებრივ აზრზე სახელმწიფოს ძლიერი გავლენის პირობებში, კულტურისა და ხელოვნების სფეროებიც ხშირად პოლიტიკური ელიტის, მისი გადაწყვეტილებებისა და სახელმწიფო პოლიტიკის ლეგიტიმაციის ფუნქციას ასრულებს. ამ კონტექსტში, ოფიციალური ნარატივები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ემომალი რაჰმონის ხელისუფლებისთვის სანდო და სტრატეგიულ პარტნიორად წარმოაჩენს.

ჩინური ენის სწავლება ტაჯიკეთში

ტაჯიკეთის ჩინეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების ზრდისა და ქვეყანაში მოქმედი ჩინეთის კომპანიების რაოდენობის მატების გათვალისწინებით, შრომის ბაზარზე ჩინური ენის მცოდნე კადრებზე მოთხოვნა მაღალია. შესაბამისად, ტაჯიკეთში ჩინური ენის სწავლება ხშირად სცდება საგანმანათლებლო და აკადემიურ სივრცეს და პროფესიულ მნიშვნელობას იძენს.

ტაჯიკეთში ჩინური ენის სწავლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების უნიკალურ მაგალითს ლუბანის ცენტრები წარმოადგენს. ლუბანის სასწავლო ცენტრი („Luban Workshop“), ცენტრალურ აზიაში პირველად 2022 წელს ტაჯიკეთში გაიხსნა. ინსტიტუტი ჩინეთის ტიანძინის ურბანული მშენებლობის მართვისა და პროფესიული ტექნოლოგიების კოლეჯისა და ტაჯიკეთის ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლობის შედეგია.

ლუბანის სასწავლო ცენტრი ჩინური საგანმანათლებლო პროგრამაა, რომელიც მიზნად ისახავს ჩინური ტექნოლოგიებისა და საგანმანათლებლო სტანდარტების გაზიარებას და ინჟინერიის სფეროში დასაქმებული პირების გადამზადებას. 2025 წლის მდგომარეობით, პროგრამაში მონაწილეობა 1,500-ზე მეტმა ტაჯიკმა სტუ-დენტმა მიიღო. ცენტრი ორგანიზებას უკეთებს კურსებს საინჟინრო გამოთვლების

თანამედროვე მეთოდების, კარტოგრაფიის და ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების შესახებ. პროგრამის წარმატებულ მონაწილეებს შესაძლებლობა ეძლევათ, ჩინეთის ქალაქ ტიანძინში სტაჟირება გაიარონ.

ტაჯიკურ მედიაში ლუბანის სასწავლო ცენტრი ტაჯიკეთ-ჩინეთის საგანმანათლებლო და პროფესიული თანამშრომლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმატებად არის წარმოჩენილი. 2024 წლის 5 ივლისს გამოქვეყნებულ სტატიაში, ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა ლუბანის ცენტრი კონფუცის ინსტიტუტებთან ერთად მოიხსენია:



„კონფუცის ინსტიტუტებმა და ლუბანის სემინარებმა მოამზადეს ჩინური ენის მცოდნეებისა და ტექნიკური პერსონალის დიდი რაოდენობა, რომლებიც ახლა ორი ერის განვითარებასა და თანამშრომლობაში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ.“

ტაჯიკეთში ლუბანის ცენტრები ჩინეთის რბილი ძალის ოპერაციებისა და ეკონომიკური ინტერესების გადაკვეთის თვალსაჩინო მაგალითია. ქვეყანაში სამთო-მომპოვებელ მრეწველობაში, მშენებლობასა და ეკონომიკის სხვა სექტორებში ჩინეთის არაერთი კომპანია ოპერირებს. შესაბამისად, ჩინური ენის მცოდნე კადრების მომზადებაზე მოთხოვნა მზარდია. ამ თვალსაზრისით, ლუბანის სასწავლო ცენტრები შრომის ბაზრის მოთხოვნებზე საპასუხოდ შექმნილ ინიციატივად შეიძლება განვიხილოთ, რომელიც პროფესიულ განათლებასა და ჩინეთის ეკონომიკურ ინტერესებს შორის კავშირს აძლიერებს.

კონფუცის ინსტიტუტები ტაჯიკეთში

საქართველოსა და აზერბაიჯანის მსგავსად, ტაჯიკეთშიც ჩინეთის „რბილი ძალის“ ოპერაციების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი კონფუცის ინსტიტუტებია. აღნიშნული დაწესებულებების საქმიანობა მოიცავს საგანმანათლებლო და კულტურული პროექტების განხორციელებას, „ჩინური ენის ხიდის“ კონკურსების და საზაფხულო ბანაკების ორგანიზებას, ადგილობრივი მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის ტრენინგების ჩატარებას და ჩინეთის კომპანიების თანამშრომლებისთვის თემატური კურსების უზრუნველყოფას.





ქვეყანაში კონფუცის პირველი ინსტიტუტი ტაჯიკეთის ეროვნულ უნივერსიტეტში, 2008 წლის აგვისტოში დაფუძნდა. ჩინეთიდან ინსტიტუტის ოფიციალური პარტნიორი სინძიანის უნივერსიტეტია. ინსტიტუტს ჰყავს ხუთი ტაჯიკი და სამი ჩინელი დირექტორი, ხოლო მისი პერსონალი აერთიანებს 18 ტაჯიკ და 19 ჩინელ მასწავლებელს. ტაჯიკეთის ეროვნული უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი 18 კლასის გარდა, ინსტიტუტს, ასევე, აქვს ათი დამატებითი სასწავლო ცენტრი. ხსენებულ ფილიალებში ჩინურ ენას 1 300-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

2025 წლამდე ინსტიტუტში 42 000-ზე მეტმა სტუდენტმა გაიარა ჩინური ენის კურსები. ინსტიტუტის სასწავლო პროგრამები განკუთვნილია არა მხოლოდ ტაჯიკეთის ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, არამედ საშუალო სკოლების მოსწავლეებისთვისაც. კონფუცის ინსტიტუტის მასწავლებლის, ლი ჯიანჯუნის განცხადებით, ჩინური ენის კურსებზე უმეტესწილად საშუალო სკოლის მოსწავლეები რეგისტრირდებიან, ჩინეთში სწავლის გაგრძელების იმედით.

კონფუცის ინსტიტუტში ჩინური ენა ისწავლება „ჩინური ენა + პროფესიის“ მოდელით. ინსტიტუტი ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე და სტუდენტებს სთავაზობს ისეთ კურსებს, როგორებიცაა: „ჩინური + დიპლომატია“, „ჩინური + მენეჯმენტი“, „ჩინური + სამთო მრეწველობა“, „ჩინური + კულინარიული ხელოვნება“. საუნივერსიტეტო სივრცის გარდა, კონფუცის ინსტიტუტი სპეციალიზაციის შესაბამის კურსებს სთავაზობს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს. მაგალითად, ინსტიტუტმა ხატლონის რეგიონში ორგანიზება გაუკეთა კურსს - „ჩინური ენა + სასოფლო სამეურნეო ტექნოლოგია“, რომლითაც 300-ზე მეტმა ტაჯიკმა ფერმერმა ისარგებლა.

ტაჯიკეთის ეროვნული უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტი ყოველწლიურად, საშუალოდ, 100-ზე მეტ კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებას მასპინძლობს; ასევე, რეგულარულად ატარებს ტრენინგებსა და სხვადასხვა კურსს. 2025 წლის მაისში ინსტიტუტში ჩინური ენის მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების კურსი ჩატარდა. პროგრამა მიზნად ისახავდა მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და საგანმანათლებლო დონის ამაღლებას.

ტაჯიკეთში კონფუცის მეორე ინსტიტუტი 2014 წლის 13 სექტემბერს, ემომალი რაჰმონსა და კონფუცის ინსტიტუტების აღმასრულებელ დირექტორს, სუ ლინს შორის ხელმოწერილი შეთანხმების ფარგლებში, სამთო-მეტალურგიულ ინსტიტუტში გაიხსნა. ჩინეთის მხრიდან ინსტიტუტის ოფიციალური პარტნიორია აღმოსავლეთ ჩინეთის ნავთობის უნივერსიტეტი. ინსტიტუტი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ჩინური ენის, კულტურისა და მუსიკის კურსებს.



ტაჯიკეთის ეროვნული უნივერსიტეტის მსგავსად, სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის კონფუცის ინსტიტუტშიც ხშირად ტარდება კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებები. 2024 წლის 7 დეკემბერს ინსტიტუტში გაიმართა შემოდგომის სემესტრის დასრულებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ უნივერსიტეტის, ჩინეთის და ტაჯიკეთის კომპანიების და ტაჯიკეთ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოებების წარმომადგენლები.

“ჩინური ენის ხიდის” კონკურსი

2002 წლიდან ტაჯიკეთში ყოველწლიურად ტარდება „ჩინური ენის ხიდის“ კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც სკოლის მოსწავლეებს, ისე უნივერსიტეტის სტუდენტებს. კონკურსის მთავარი ორგანიზატორები კონფუცის ინსტიტუტები არიან.

2025 წელს, ქვეყნის მასშტაბით კონკურსის ფინალური ეტაპი - „ჩინური ენა - მეგობრობის ხიდი, ერთი მსოფლიო, ერთი ოჯახი“ - ტაჯიკეთის სადრიდდინ აინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში გაიმართა. ღონისძიება ჩინეთის საელჩოს მხარდაჭერით და ტაჯიკეთის ეროვნული და სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტების ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა.

საყურადღებოა, რომ 2025 წელს კონკურსის მიმართ დაინტერესება მხოლოდ აკადემიური წრის წარმომადგენლებით არ შემოიფარგლებოდა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ტაჯიკეთ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების, ტაჯიკეთისა და უცხო ქვეყნების მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების საზოგადოების, განათლებისა და მეცნიერების, საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროების და ჩინეთის კომპანიების წარმომადგენლები.

სასტიპენდიო პროგრამები

ტაჯიკეთის შეზღუდული საგანმანათლებლო რესურსების გათვალისწინებით, ჩინეთი ტაჯიკი სტუდენტებისთვის განათლების მიღების გამორჩეული და მიმზიდველი ქვეყანაა. ამ თვალსაზრისით, სახალხო რესპუბლიკის „რბილი ძალის“ ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმი სწორედ სასტიპენდიო პროგრამებია. ტაჯიკი სტუდენტები ყოველწლიურად მონაწილეობენ ჩინეთის სამთავრობო სასტიპენდიო პროგრამაში. 2023 წელს 103-მა ტაჯიკმა სტუდენტმა მოიპოვა სტიპენდია. საინფორმაციო სააგენტო „ხოვარის“ ინფორმაციით, სტიპენდიანტების შერჩევა ხდება ჩინური ენის ცოდნის დონისა და ენის ოლიმპიადაში მიღწეული შედეგების მიხედვით. 2025 წლის მაისში ტაჯიკეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ჩინეთის განათლების მინისტრის მოადგილე ვუ იანს შორის გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სახალხო რესპუბლიკაში 5,000 ტაჯიკი სტუდენტი იღებს განათლებას.





სამთავრობო სტიპენდიების გარდა, ტაჯიკი სტუდენტები სარგებლობენ როგორც პროვინციებისა და ინიდივიდუალური უნივერსიტეტების, ასევე, ჩინეთის საელჩოს მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამებით.

ჩინეთის ელჩის სტიპენდია

2018 წლიდან ტაჯიკეთში ჩინეთის საელჩო ჩინური ენის წარმატებულ სტუდენტებს სტიპენდიით აჯილდოებს. სტიპენდიანტთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება: 2025 წელს ელჩის სტიპენდია მიიღო 40-მა, 2024 წელს 30-მა, ხოლო 2023 წელს - 20-მა ახალგაზრდამ. 2025 წლამდე სტიპენდიით 100-ზე მეტი ტაჯიკი სტუდენტი დაჯილდოვდა.

2025 წლის 10 ნოემბერს ტაჯიკეთის ეროვნული უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტში, ე.წ. „კულტურის დარბაზში“, გაიმართა ჩინეთის ელჩის სტიპენდიანტების დაჯილდოების ცერემონია. ღონისძიებას ესწრებოდნენ როგორც ჩინეთის საელჩოსა და უნივერსიტეტების, ისე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ცერემონია დაიწყო დოკუმენტური ფილმის ჩვენებით - „20 წელი კონფუცის ინსტიტუტთან ერთად. ვანგ ჰუიქუანის მიერ კონფუცის ინსტიტუტში ჩინური ენის სწავლების ისტორია და ჩინურ-ტაჯიკური ურთიერთობების გაძლიერება“.

ჩინური ენის მასწავლებლების კონკურსი

2024 წლიდან ჩინეთის განათლების სამინისტროს ენის განათლებისა და თანამშრომლობის ცენტრის ინიციატივით, ცენტრალური აზიის მასშტაბით, ყოველწლიურად ტარდება ჩინური ენის მასწავლებლების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობენ ყაზახეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის და ყირგიზეთის კონფუცის ინსტიტუტები. საყურადღებოა, რომ რეგიონში უკვე კონფუცის 13 ინსტიტუტი ფუნქციონირებს.





2025 წლის 24-25 ოქტომბერს კონკურსი ტაჯიკეთის ეროვნული უნივერსიტეტის, კონფუცის ინსტიტუტისა და სინძიანის უნივერსიტეტის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა ტაჯიკეთში ჩინეთის ელჩი, რომელმაც განაცხადა, რომ ჩინური ენა, როგორც საერთაშორისო ენა, კულტურათა დამაკავშირებელ მნიშვნელოვან ხიდად იქცა. ელჩმა ჩინური ენის მასწავლებლებს მოუწოდა, რომ შეასრულონ არა მხოლოდ ენის მასწავლებლის, არამედ „ცივილიზაციათა ხიდის“ როლი, რაც, მისი თქმით, ხელს შეუწყობს ხალხთაშორისი კავშირების გაძლიერებას.

კონკურსის ფარგლებში შერჩეული ხუთი მასწავლებელი დაჯილდოვდა „სწავლების საუკეთესო მეთოდის“, „გაკვეთილის საუკეთესო დიზაინის“, „საუკეთესო კრეატიული სწავლების“, „საუკეთესო სასწავლო მასალებისა“ და „საუკეთესო სწავლების უნარების“ ნომინაციებში.

საგანმანათლებლო თანამშრომლობა რეგიონულ ფორმატში

ცენტრალურ აზიაში ჩინეთის გავლენის ზრდასთან ერთად, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის რეგიონალიზაციის ტენდენცია გამოიკვეთა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან პრეცედენტს წარმოადგენდა 2025 წლის 12 მაისს ურუმჩიში ჩინეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების განათლების მინისტრების ერთობლივი შეხვედრა. ღონისძიება საგანმანათლებლო სისტემების კოორდინაციას, ერთობლივი პროექტების გაფართოებას, აკადემიური პროგრამების განვითარებას, აკადემიური გაცვლითი პროგრამების ზრდასა და სამეცნიერო-პრაქტიკული თანამშრომლობის გაძლიერებას მიეძღვნა.

მინისტრების შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ბიუროს წევრი და სინძიანის უიღურთა ავტონომიური რეგიონის პარტიის მდივანი მა სინგრუი. მან ყურადღება გაამახვილა სინძიანის რეგიონის „უნიკალურ გეოგრაფიულ უპირატესობასა“ და მის პოტენციალზე, გახდეს ჩინეთსა და „სარტყლისა და გზის“ ქვეყნებს შორის საგანმანათლებლო თანამშრომლობის ჰაბი. ბატონი სინგრუის თქმით, სინძიანის რეგიონი მხარს უჭერს ჩინეთ-ცენტრალური აზიის სამეცნიერო თანამშრომლობას და მიზნად ისახავს რეგიონულ უნივერსიტეტებს შორის რეგულარული გაცვლების უზრუნველყოფას, კონფუცის ინსტიტუტების და „აბრეშუმის გზის” სემინარების განვითარებასა და საერთაშორისო სტუდენტური პროგრამების გაფართოებას.

სინგრუიმ ჩინეთ-ცენტრალური აზიის „საგანმანათლებლო საზოგადოების“ შექმნისა და საგანმანათლებლო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით ხუთი ინიციატივა დაასახელა:

1. „ყოვლისმომცველი თანამშრომლობისა და გაცვლისთვის ახალი მრავალ-განზომილებიანი პლატფორმის შექმნა“.

2. „ნიჭის ერთობლივი განვითარებისთვის ახალი უმაღლესი განათლების თანამშრომლობის სისტემის შექმნა“.

3. „პროფესიულ განათლებაში სპეციფიკური კონტექსტის თანამშრომლობის პოტენციალის გამოყენება“.

4. „საერთო რესურსებითა და ინფრასტრუქტურით ციფრული განათლების თანა-მშრომლობის გაფართოება“.

5. „ცივილიზაციებს შორის კულტურის გაცვლისა და ორმხრივი სწავლების ახალი მოდელების გამოკვლევა“.

შეხვედრას რამდენიმე პრაქტიკული შედეგი მოჰყვა. კერძოდ, შეიქმნა „ჩინეთ-ცენტრალური აზიის ინდუსტრია-განათლების ინტეგრაციის ალიანსი“ და „ცენტრალური აზიის მასწავლებლის განვითარების გლობალური კოლეჯი“, რომელიც კონფუცის ინსტიტუტის მასწავლებლებს პირისპირ და დისტანციურ ფორმატში სასწავლო პროგრამებს სთავაზობს. 2025 წელს ტაჯიკი მასწავლებლების ორმა ნაკადმა აღნიშნულ სასწავლებელში კურსები უკვე გაიარა.

ტაჯიკეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლები რეგულარულად მონაწილეობენ რეგიონულიმასშტაბითგამართულსხვასაგანმანათლებლოღონისძიებებშიც.მსგავსი ფორმატები ტაჯიკეთისთვის ჩინეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარებისა და თანამშრომლობის გაღრმავების დამატებით შესაძლებლობას ქმნის.

თანამშრომლობა უნივერსიტეტებს შორის

ტაჯიკეთი, როგორც ცენტრალური აზიის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყანა, საგანმანათლებლო სისტემის განვითარების სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე, სწავლების ხარისხი თანდათანობით უარესდება. დაბალი ანაზღაურება, მასწავლებელთა არასაკმარისი კვალიფიკაცია, სამეცნიერო კვლევების დაფინანსების სიმწირე და აკადემიური თავისუფლების შეზღუდვები განათლების სექტორის განვითარებას მნიშვნელოვან დაბრკოლებებს უქმნის.

განათლების სისტემაში არსებული დაბალი სტანდარტების გამო, ტაჯიკ მოსახლეობაში საზღვარგარეთ განათლების მიღებისადმი ინტერესი მზარდია. შესაბამისად, გარე აქტორები ქვეყანაში საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ. თუმცა, ქვეყნის ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის პირობებში, უმაღლესი განათლების სფეროც მმართველი პოლიტიკური ელიტის გავლენის ქვეშაა და რაჰმონის ხელისუფლებისადმი ლოიალური მოქალაქეების ჩამოყალიბების ამოცანას ემსახურება. შესაბამისად, მსგავს საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობის შესაძლებლობა, ძირითადად, იმ სახელმწიფოებს აქვთ, რომელთა მიმართაც რეჟიმი ნდობას გამოხატავს. ამ ფაქტორების გამო, ტაჯიკი ახალგაზრდებისთვის უცხოეთში განათლების მიღების ძირითადი მიმართულებები რუსეთი და ჩინეთია.

ტაჯიკეთისა და ჩინეთის უნივერსიტეტებს შორის ორმხრივი თანამშრომლობა ოფიციალური მემორანდუმებისა და შეთანხმებების საფუძველზე ვითარდება. მხოლოდ 2024-2025 წლებში ორი ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის შვიდზე მეტი შეთანხმება გაფორმდა. შეთანხმებების ფარგლებში თანამშრომლობა მოიცავდა ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლა, სტაჟირების შესაძლებლობები, ერთობლივი პუბლიკაციების მომზადება, სასწავლო-სამეცნიერო და გაცვლითი პროგრამების განხორციელება და საერთო ცენტრების დაარსება. ამასთანავე, საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ოფიციალური ვიზიტები რეგულარულ ხასიათს ატარებს და თანამშრომლობა მზარდია.

2024-2025 წლებში ჩინეთისა და ტაჯიკეთის უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობების შესწავლის შედეგად, შემდეგი ძირითადი ტენდენციები და თანამშრომლობის მიმართულებები გამოვლინდა:

გაცვლითი პროგრამები

ტაჯიკეთის რიგი უნივერსიტეტები გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ჩინელ სტუდენტებს მასპინძლობენ. 2024 წლის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მეტი ჩინელი მასწავლებელი და ჩინური ენის შემსწავლელი სტუდენტი ტაჯიკეთის უცხო ენების უნივერსიტეტში ირიცხებოდა. აღნიშნული მაჩვენებელი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროფილით არის განპირობებული. კერძოდ, უნივერსიტეტში ჩინური ენა ფართო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ისწავლება, რომელიც მოიცავს ისეთ კურსებს, როგორიცაა თარგმნა, ჩინური ლინგვისტიკის ისტორია, ჩინური ლიტერატურა, ფონეტიკა და სხვა.

ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულება, ტაჯიკეთის სადრიდდინ აინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ჩინელ სტუდენტებს სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის შესაძლებლობას სთავაზობს. საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაშიც გაცვლითი პროგრამის განხორციელებისთვის ნებართვას გასცემს ტაჯიკეთის განათლების ზედამხედველობის სააგენტო, რაც საგანმანათლებლო სექტორზე მთავრობის მკაცრ კონტროლზე მიუთითებს.



უნივერსიტეტებს შორის შეთანხმებების ფარგლებში, ტაჯიკ სტუდენტებსაც ეძლევათ ჩინეთში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. 2024-2025 წლებში გაცვლითი პროგრამების კონკურსებში მონაწილეობდნენ ტაჯიკეთის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის, რუსულ-ტაჯიკური სლავური უნივერსიტეტისა და ტაჯიკეთის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის სტუდენტები.

ერთობლივი ლაბორატორიების და ცენტრების გახსნა

ტაჯიკეთის საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე ჩინეთის უნივერსიტეტები ხშირად საუბრობენ ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების გახსნის ინიციატივის თაობაზე. ამ მიმართულებით ტაჯიკურ უნივერსიტეტებს შორის წამყვან პოზიციას სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი იკავებს. 2024-2025 წლებში, ინსტიტუტში ერთობლივი ლაბორატორიების შექმნის საკითხი განხილულ იქნა ჩინეთის ქალაქ ქინგდაოს ინდუსტრიული და სავაჭრო ზონის, ზაოჩჟუანის პროფესიული ინსტიტუტის და შანდონის უნივერსიტეტის დელეგაციებთან. შედეგად, 2025 წლის 26 ივლისს, ინსტიტუტში, სახალხო რესპუბლიკის მხარდაჭერით, „ძვირფასი მეტალებისა და ძვირფასეულობის შემოწმების ლაბორატორია“ და „ფერადი მეტალებისა და ძვირფასი ქვების შემოწმების ლაბორატორია“ გაიხსნა.

აქვე საყურადღებოა, რომ სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომლობს ტაჯიკეთში ჩინეთის საელჩოსთან. 2025 წლის დეკემბერში საელჩომ უნივერსიტეტის ხელოვნური ინტელექტისა და ახალი ტექნოლოგიების ფაკულტეტს ტექნიკური აღჭურვილობა, ახალი თაობის კომპიუტერები და ელექტრონული მოწყობილობები გადასცა საჩუქრად.

სამეცნიერო ღონისძიებები და საგანმანათლებლო პროგრამები

ტაჯიკეთის უნივერსიტეტები რეგულარულად მონაწილეობენ ჩინეთის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ხშირ შემთხვევაში, ტაჯიკი პროფესორები და აკადემიური პერსონალი ჩინეთში გამართულ კონფერენციებზე სიტყვით გამოდიან და აუდიტორიას საკუთარი კვლევების შედეგებს აცნობენ. მსგავსი ვიზიტების ფარგლებში, ტაჯიკეთის დელეგაციები სტუმრობენ ჩინეთის უნივერსიტეტებს და ახალ პარტნიორულ ურთიერთობებს ამყარებენ. აღნიშნული პლატფორმები ორი ქვეყნის საგანამანათლებლო სექტორში თანამშრომლობის სამომავლო გეგმების განხილვის საშუალებას იძლევა.

სამეცნიერო კონფერენციების გარდა, 2024-2025 წლებში ტაჯიკეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა ჩინეთში ორგანიზებულ სასწავლო და პროფესიული განვითარების პროგრამებშიც მიიღეს მონაწილეობა:

2024 წლის სექტემბერში ტაჯიკეთის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორები მონაწილეობდნენ სინძიანის უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენციაში - „უმაღლესი განათლების რეფორმისა და განვითარების კონტექსტში ორმხრივი გაცვლა ჩინეთსა და ტაჯიკეთს შორის“. კონფერენციის პარალელურად, უნივერსიტეტებს შორის გაიმართა შეხვედრა, სადაც თანამშრომლობის სამომავლო გეგმები განიხილეს.

2025 წლის მაისში აინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის დეკანი ჩინეთის სინძიანის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობდა.

2025 წლის ნოემბერში სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის პროფესორი მოხსენე-ბით გამოვიდა ჩინეთში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე - „ინდუსტრიის, განათლების და მეტალურგიის და მოწინავე მასალების შესახებ კვლევების ინტეგრაცია და თანამშრომლობა“.

თანამშრომლობა ჩინეთის კომპანიებთან

ტაჯიკეთის უნივერსიტეტები აქტიურად თანამშრომლობენ ჩინეთის კომპანიებ-თან. მხარეებს შორის გამართულ შეხვედრებზე განხილული თანამშრომლობის გეგმები ურთიერთობების მრავალფეროვან ბუნებაზე მიუთითებს. 2024-2025 წლებში ტაჯიკეთის სამი უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ჩინეთის სხვადასხვა კორპორაციასთან პარტნიორული კავშირი დაამყარეს. თანამშრომლობის მიმართულებები მოიცავდა წარმოების დარგში კოლაბორაციას, სტუდენტებისთვის ტრენინგებს, სემინარების ორგანიზებას, სატრენინგო ცენტრების დაარსებას, ერთობლივი ლაბორატორიების გახსნას და სხვა.





აზერბაიჯანისა და საქართველოს მსგავსად, ტაჯიკეთშიც საგანმანათლებლო სექტორში აქტიური კომპანია „ჰუავეია“ (Huawei). 2016 წლიდან ტაჯიკეთში ტარდება კომპანიის საგანმანათლებლო-სასწავლო პროგრამა „Seeds for the Future“. ინიციატივის ფარგლებში, ტაჯიკეთიდან 10 ახალგაზრდა საჯარო მოხელესა და სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, ორკვირიან ტრენინგში მიიღოს მონაწილეობა. პროგრამა ჩინური კულტურის შესახებ შემეცნებით აქტივობებსაც მოიცავს. ტაჯიკეთის ეროვნული საინფორმაციო სააგენტოს „ხოვარის“ შეფასებით, პროგრამა ხელს უწყობს არა მხოლოდ ტელეკომუნიკაციების, საინფორმაციო და ციფრული ტექნოლოგიების სწავლებას, არამედ აძლიერებს ტაჯიკეთის საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და „ჰუავეის“ შორის თანამშრომლობას.

ტაჯიკეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კავშირები ჩინეთთან

ჩინეთის მიმართ ტაჯიკეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (NAST) მიდგომა ქვეყნის სამთავრობო პოლიტიკას შეესაბამება. აკადემია სამეცნიერო-კვლევით თანამშრომლობას ავითარებს არა მხოლოდ სახალხო რესპუბლიკასთან, არამედ ორმხრივი დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების ერთ-ერთ მხარდამჭერ ინსტიტუტადაც გვევლინება.

NAST-სა და სახალხო რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის ურთიერთობები ინტენსიური ხასიათისაა. 2024-2025 წლებში ჩინეთის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების წარმომადგენლებმა აკადემიაში ექვსზე მეტი ვიზიტი განახორციელეს. საკვლევ პერიოდში NAST-თან აქტიურად თანამშრომლობდა ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემია, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია და ჩინეთის გეოლოგიის საზოგადოება. NAST-სა და ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიას შორის პარტნიორობა მოიცავს სამეცნიერო ღონისძიებების ჩატარება-ორგანიზებას, ერთობლივი პუბლიკაციების გამოქვეყნებას, საერთო კვლევების განხორციელებას და სხვა.

თავის მხრივ, NAST-ის თანამშრომლებიც პერიოდულად სტუმრობენ ჩინეთს ორმხრივი კავშირების გაღრმავების მიზნით. მაგალითად, 2024 წლის 11-25 ოქტომბერს აკადემიის წევრი გ.ი. კოხიროვა ჩინეთში ვიზიტით იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელზეც ჩინეთსა და ტაჯიკეთს შორის ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელების საკითხები განიხილეს.





ორმხრივი ვიზიტებისა და ერთობლივი ღონისძიებების გარდა, სამეცნიერო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობა საერთო ლაბორატორიებისა და კვლევითი ცენტრების დაფუძნებასაც ითვალისწინებს. ტაჯიკეთის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ფუნქციონირებს „ჩინეთ-ტაჯიკეთის ბუნებრივი პროდუქტების ინოვაციური ცენტრი.“ ცენტრის პარტნიორია ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის სინძიანის ფიზიკისა და ქიმიის ინსტიტუტი. 2025 წლის 22 სექტემბერს ცენტრში ახალი ფარმაცევტული მოწყობილობები დამონტაჟდა, რომლის შესაძენადაც ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1,5 მილიონი ტაჯიკური სომონი (დაახლოებით 161 762 აშშ დოლარი) გამოყო.

ჩინეთ-ტაჯიკეთის ბუნებრივი პროდუქტების ინოვაციური ცენტრის გარდა, ტაჯიკეთში 2017 წლიდან ფუნქციონირებს ცენტრალური აზიის ეკოლოგიისა და გარემოს კვლევის ცენტრი. ცენტრის დამფუძნებლები არიან ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის სინძიანის ფიზიკისა და ქიმიის ინსტიტუტი და ტაჯიკეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ცენტრი, ტაჯიკეთისა და ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ახორციელებს.

2025 წლის 21 ივლისს ცენტრალური აზიის ეკოლოგიისა და გარემოს კვლევის ცენტრში, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისა და ჩინეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მინისტრის მოადგილის მონაწილეობით, ერთობლივი ტაჯიკურ-ჩინური ლაბორატორია გაიხსნა. ლაბორატორიის საქმიანობა მოიცავს კვლევების განხორციელებას, შესაბამისი ტექნოლოგიების განვითარებას, რეგიონში მწვანე და მდგრადი განვითარების პოპულარიზაციას და „სარტყლისა და გზის“, ასევე, „ახალ ეპოქაში ტაჯიკეთისა და ჩინეთის საერთო მომავლის მქონე საზოგადოების შექმნის“ ინიციატივების ფარგლებში სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების მხარდაჭერას. ლაბორატორიის საქმიანობაში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევათ ცენტრალური აზიის ქვეყნების მეცნიერებსა და ექსპერტებს.

ტაჯიკეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ასევე, აქტიურად თანამშრომლობს ჩინეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტროსთან. მხარეებს შორის ურთიერთობები ეფუძნება 2017 წლის აგვისტოში ხელმოწერილ ურთიერთგაგების მემორანდუმს. აღნიშნული მემორანდუმი ერთობლივი სამეცნიერო და კვლევითი პროექტების წახალისებასა და დაფინანსებას ითვალისწინებს.

2024 წლის 27 აპრილს, NAST-მა და ჩინეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტრომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით კონკურსი გამოაცხადეს. კონკურსში მონაწილეობა შეეძლო ჩინეთის და ტაჯიკეთის სამეცნიერო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა პროგრამის ფარგლებში 1 მილიონ იუანს (დაახლოებით 160 000 აშშ დოლარს) გამოყოფდა. პროგრამა მდგრადი განვითარებისა და განახლებადი ენერგიის, ასევე, ტექნოლოგიების მიმართულებით ერთობლივი ჩინურ-ტაჯიკური პროექტების განხორციელებას ითვალისწინებდა.

ერთობლივი პროექტების გარდა, ტაჯიკ მეცნიერებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ჩინეთის სამეცნიერო ინსტიტუტების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებშიც. 2025 წლის თებერვალში NAST-მა, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით, ტაჯიკი მეცნიერებისთვის კონკურსი გამოაცხადა. პროგრამა ითვალისწინებდა ინდივიდუალურ მეცნიერებსა და ჩინეთის საწარმოებს შორის თანამშრომლობას და პროექტების განხორციელებას. კონკურსში გამარჯვებული მკვლევრებისა და ექსპერტებისთვის 2 მილიონამდე იუანის ოდენობის გრანტი იყო გამოყოფილი.

ამგვარად, ტაჯიკეთისა და ჩინეთის სამეცნიერო აკადემიებსა და კვლევით ინსტიტუტებს შორის ურთიერთობები მრავალგანზომილებიანია და მოიცავს რეგულარულ ორმხრივ ვიზიტებს, თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებებს, გაცვლით პროგრამებს, ერთობლივ პროექტებს და კვლევითი ცენტრებისა და ლაბორატორიების დაფუძნებას. ორ ქვეყანას შორის მაღალი დონის საგანმანათლებლო-სამეცნიერო ურთიერთობები პირდაპირ აისახება ტაჯიკეთის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ჩინეთის სამეცნიერო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის დინამიკაში.

შედარებითი ანალიზი



ჩინეთის კომუნისტური პარტიის „რბილი ძალის“ სტრატეგია სამიზნე ქვეყნებში, უპირველესად, სახალხო რესპუბლიკის შესახებ დადებითი წარმოდგენების ჩამოყალიბებასა და საზოგადოებრივი კეთილგანწყობის მოპოვებას ემსახურება. ამ მიზნით, პეკინი მობილიზებას უწევს კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საინფორმაციო და სოციალურ რესურსებს, რომელთა საშუალებითაც ჩინეთი „მშვიდობისმოყვარე“ ზესახელმწიფოდ და განვითარების მისაბაძ მოდელად არის წარმოჩენილი. ამ თვალსაზრისით, სამივე საკვლევ ქვეყანაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესახებ მსგავსი ნარატივები გამოვლინდა: ადგილობრივი პოლიტიკური ელიტებისა და მათთან დაკავშირებული მედიის წარმომადგენლები პეკინს „სანდო“ პარტნიორად და „მშვიდობის მოსურნე“ საერთაშორისო აქტორად წარმოაჩენენ.

საქართველოს, აზერბაიჯანისა და ტაჯიკეთის შემთხვევების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ჩინეთის „რბილი ძალის“ მასშტაბი და ეფექტიანობა, ძირითადად, ორ ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორზეა დამოკიდებული:

1. ჩინეთის საგარეო-პოლიტიკურ სტრატეგიაში ქვეყნის მნიშვნელობაზე;

2. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ ადგილობრივი პოლიტიკური ისტებლიშმენტის დამოკიდებულებაზე.

აღნიშნული ორი ფაქტორის კომბინაცია განსაზღვრავს როგორც „რბილი ძალის“ კონკრეტული ინსტრუმენტების არჩევანს, ისე მათი გამოყენების მასშტაბსა და ინტენსივობას. ამასთან, ქვეყნის გეოგრაფიული სიახლოვე, მაღალი ეკონომიკური ინტეგრაცია და ადგილობრივი პოლიტიკური რეჟიმის არადემოკრატიული ბუნება ქმნის დამატებით ხელსაყრელ პირობებს ჩინეთის რბილი ძალის ინსტრუმენტების გასავრცელებლად და გასაძლიერებლად.

კვლევის ძირითადი მიგნებები:

➡ **ოფიციალური დისკურსის დონეზე, პეკინი სამივე სახელმწიფოსთან ურთიერთობებს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად ასახელებს. თუმცა, დიპლომატიური ურთიერთობებისა და ორმხრივი თანამშრომლობის სხვა მიმართულებების მიხედვით, აღნიშნული ქვეყნები ჩინეთის საგარეო-პოლიტიკურ დღის წესრიგში განსხვავებულ ადგილს იკავებენ.**

გეოგრაფიული სიახლოვის, სტრატეგიული რესურსების მნიშვნელობისა და ეკონომიკური მოწყვლადობის ხარისხის გათვალისწინებით, ტაჯიკეთი, აზერბაიჯანსა და საქართველოსთან შედარებით, პეკინისთვის უფრო პრიორიტეტული პარტნიორია. ორ ქვეყანას შორის გაფორმებული დოკუმენტებიც ადასტურებს, რომ ჩინეთთან პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობების ინტენსივობის თვალსაზრისით, ტაჯიკეთი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს აღემატება. ოფიციალურ დუშანბესა და პეკინს შორის გაფორმებული „ახალი ეპოქის ყოვლისმომცველი სტრატეგიული კოოპერაციული პარტნიორობის“ შეთანხმება საერთაშორისო ურთიერთობებსა და რეგიონულ საკითხებზე მხარეების დაახლოებულ და თანხვედრ ხედვებს ასახავს.

ტაჯიკეთის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, პეკინისთვის მეორე პრიორიტეტულ მიმართულებად აზერბაიჯანი შეიძლება განვიხილოთ. ბაქოს ოფიციალური საგარეო პოლიტიკა, ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ხასიათი, ასევე, მისი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა და რესურსული პოტენციალი აზერბაიჯანს ჩინეთისთვის მნიშვნელოვან პარტნიორად აქცევს. ოფიციალურ პირებს შორის შეხვედრებზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შუა დერეფნის მნიშვნელობას, რაც ქვეყნის მიმართ პეკინის ეკონომიკურ და გეოსტრატეგიულ ინტერესებზე მიუთითებს. 2025 წელს ორ ქვეყანას შორის ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის დამყარებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აზერბაიჯანი სამხრეთ კავკასიაში ჩინეთის სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

საქართველო, საკვლევ ქვეყნებს შორის, მესამე პოზიციაზე შეიძლება განვიხილოთ. ოფიციალური თბილისის ბოლოდროინდელი არადემოკრატიული მმართველობის პრაქტიკა და ანტიდასავლური საგარეო-პოლიტიკური კურსი, ქვეყნის სტრატეგიული გეოგრაფია და ჩინეთის კომპანიების ოპერირებისთვის ხელსაყრელი ბიზნესგარემო საქართველოს მომხიბვლელ პარტნიორად აქცევს. თუმცა, ევროპასთან დაკავშირების პოტენციალის, სატრანზიტო ფუნქციისა და ეკონომიკური რესურსების თვალსაზრისით, აზერბაიჯანი, ჩინეთის რეგიონულ სტრატეგიაში, საქართველოსთან შედარებით, უპირატეს პოზიციას იკავებს.

➡ **ჩინეთის „რბილი ძალა“ მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ეკონომიკურ ინტერესებთან.**

ქვეყნებში, სადაც ჩინეთის ეკონომიკური ჩართულობა მაღალი ან მზარდია, პარალელურად ფართოვდება „რბილი ძალის“ ოპერაციებიც. ამგვარად, სამიზნე ქვეყნებში სახალხო რესპუბლიკის კულტურული და საგანმანათლებლო აქტივობები მხოლოდ საზოგადოებრივი დიპლომატიის ფუნქციას არ ასრულებს; ისინი ჩინეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების ხელშეწყობისა და დაცვის მექანიზმებადაც გვევლინება.

ტაჯიკეთი, ეკონომიკური, სოციალური და საგანმანათლებლო რესურსების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანწილად საგარეო აქტორებზეა დამოკიდებული. რუსეთის გავლენის კლების ფონზე, ტაჯიკეთში ჩინეთმა დომინანტური პოზიცია განიმტკიცა და ბოლო წლებში ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად და ინვესტორად ჩამოყალიბდა. ჩინეთის ეკონომიკური ჩართულობის ინტენსიფიკაციასთან ერთად, პეკინისთვის მნიშვნელოვანი გახდა საზოგადოებაში ჩინეთის მიმართ შესაძლო წინააღმდეგობის შემცირება და სახალხო რესპუბლიკის შესახებ პოზიტიური აღქმების ფორმირება. შესაბამისად, ტაჯიკეთში ჩინეთის გავლენის ოპერაციები მჭიდროდ უკავშირდება მის ეკონომიკურ ინტერესებს, რის შედეგადაც პეკინის „რბილი ძალის“ სტრატეგია ქვეყანაში შედარებით ინტენსიური ხასიათისაა.

ჩინეთის გავლენის მიმართ მოწყვლადობის თვალსაზრისით, მეორე მნიშვნელოვანი ქვეყანა საქართველოა. 2010-იანი წლებიდან სახალხო რესპუბლიკა საქართველოს ინფრასტრუქტურული და სხვა სტრატეგიული პროექტების მიმართ მზარდ ინტერესს ავლენდა. ამავე პერიოდიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოში მოქმედი ჩინეთის კომპანიების რაოდენობაც. ეკონომიკური ინტერესების დაცვისა და გაფართოების პარალელურად, პეკინისთვის ქვეყანაში საკუთარი პოზიციების გამყარება და შესაბამისი საზოგადოებრივი გარემოს ფორმირება სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ამგვარად, ჩინეთის ბიზნესინტერესების გაფართოებასთან ერთად, საქართველო პეკინის „რბილი ძალის“ ერთ-ერთ სამიზნე ქვეყნად იქცა.

ტაჯიკეთსა და საქართველოსთან შედარებით, აზერბაიჯანი უფრო მაღალი ეკონომიკური დამოუკიდებლობითა და გარე აქტორებთან ურთიერთობის მიმართ ფრთხილი პოლიტიკით გამოირჩევა. შესაბამისად, პეკინსა და ბაქოს შორის ურთიერთობა ნაკლებად ატარებს ასიმეტრიული, უფროსი და უმცროსი პარტნიორების ურთიერთობის ხასიათს. თუმცა, ბოლო წლებში აზერბაიჯანში ჩინეთის კომპანიებისა და ინვესტორების აქტივობა გაიზარდა. ორმხრივი ეკონომიკური სარგებლის ზრდის ფონზე, აზერბაიჯანის ხელისუფლება ჩინეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის მიმართ სულ უფრო მეტად კეთილგანწყობილი ხდება, რაც პეკინს ქვეყანაში საკუთარი გავლენის გაფართოების დამატებით შესაძლებლობებს უქმნის.

➡ **გავლენის მიმღები სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმის ტიპი გავლენას ახდენს ჩინეთის „რბილი ძალის“ ეფექტიანობაზე.**

ავტორიტარულ და ნახევრად ავტორიტარულ სისტემებში, სადაც საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ძირითადად, პოლიტიკური ელიტის ვიწრო წრე განსაზღვრავს, ჩინეთის ნარატივების გავრცელებისა და ჩინეთთან ურთიერთობების პოპულარიზაციის შესაძლებლობები გაცილებით მაღალია. ასეთ პირობებში „რბილი ძალის“ ინსტრუმენტები არა მხოლოდ ჩინეთის პოზიტიური იმიჯის ფორმირებას, არამედ ადგილობრივი მმართველი ელიტის საგარეო-პოლიტიკური არჩევანის ლეგიტიმაციასაც უწყობს ხელს.

ტაჯიკეთ-ჩინეთის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში მკაფიოდ იკვეთება მმართველი პარტიებისა და პოლიტიკური ელიტების ინტერესების თანხვედრა. ორ ქვეყანას შორის გაფორმებულ სტრატეგიულ შეთანხმებებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პარტიულ და მმართველ ელიტებს შორის თანამშრომლობას. შესაბამისად, ორმხრივი ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილი ემომალი რაჰმონისა და მისი პოლიტიკური გარემოცვის ინტერესებთან არის დაკავშირებული. პეკინი ეფექტიანად იყენებს ამ გარემოებას: ტაჯიკეთში ჩინეთის „რბილი ძალის“ სტრატეგია მხოლოდ სახალხო რესპუბლიკის პოზიტიური იმიჯის ფორმირებით არ შემოიფარგლება და ადგილობრივი პოლიტიკური რეჟიმის სტაბილურობისა და მმართველობის მოდელის ლეგიტიმაციის ხელშეწყობის ელემენტებსაც მოიცავს.

აზერბაიჯანშიც, ტაჯიკეთის მსგავსად, ძალაუფლება მკვეთრად ცენტრალიზებულია და ქვეყანას ალიევის ოჯახის ოლიგარქიული რეჟიმი მართავს. შესაბამისად, ჩინეთის მიმართ საგარეო-პოლიტიკური კურსიც სტაბილური და კონსოლიდირებულია. აზერბაიჯან-ჩინეთის ურთიერთობებში პარტიათაშორისი დიპლომატიის ელემენტები ფართოდ არის წარმოდგენილი. ამასთან, ჩინეთის “რბილი ძალის” ოპერაციები, გარკვეულწილად, ორი ქვეყნის მმართველ პარტიებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებაზეა ორიენტირებული.

საქართველო, ტაჯიკეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, კონსოლიდირებულ ავტორიტარულ რეჟიმს არ წარმოადგენს. თუმცა, ბოლო წლებში „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ძალაუფლების კონსოლიდაციის, ბიძინა ივანიშვილის გავლენის გაძლიერებისა და ქვეყნის დასავლეთისგან მზარდი დისტანცირების ფონზე, „ქართულ ოცნებასა“ და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას შორის პოლიტიკურ-პარტიული თანამშრომლობა გააქტიურდა. საქართველოს ხელისუფლებამ ჩინეთთან ურთიერთობების გაღრმავება საკუთარი საგარეო-პოლიტიკური კურსის ლეგიტიმაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტად აქცია. შესაბამისად, ოფიციალური თბილისის დისკურსში ჩინეთი სულ უფრო ხშირად გვევლინება დასავლეთის ალტერნატივად და „სანდო პარტნიორად“. თუმცა, აზერბაიჯანისა და ტაჯიკეთისგან განსხვავებით, ქართულ საზოგადოებაში პროდასავლური განწყობების მაღალი დონე ჩინეთის „რბილი ძალის“ ოპერაციების ეფექტიანობას მნიშვნელოვნად ზღუდავს.

➡ **ჩინეთის „რბილი ძალის“ სტრატეგია ეფუძნება ინსტრუმენტთა კომპლექსურ, მრავალგანზომილებიან სისტემას, რომელიც მოიცავს საინფორმაციო, საგანმანათლებლო, კულტურული, პოლიტიკური და აკადემიური გავლენის საშუალებებს.**

ტაჯიკეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ჩინეთის “რბილი ძალის” ინსტრუმენტები თითოეულ ქვეყანაში განსხვავებული ინტენსივობით და მასშტაბით არის წარმოდგენილი.

აზერბაიჯანში ჩინეთის “რბილი ძალის” სტრატეგია ითვალისწინებს პარტიული დიპლომატიის, საგანმანათლებლო პროგრამების, საუნივერსიტეტო დიპლომატიის, მედიასაშუალებათა პარტნიორობის და სამეცნიერო თანამშრომლობის ფორმებს. თუმცა, აღნიშნულ ინსტრუმენტებს შორის აღსანიშნავია საუნივერსიტეტო დიპლომატია განსაკუთრებით ფართო მასშტაბითა და ინტენსივობით.

ტაჯიკეთში ჩინეთის “რბილი ძალის” ინსტრუმენტები მოიცავს როგორც პარტიული დიპლომატიის, ისე მედიასაშუალებების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლობის ელემენტებს. თუმცა, სხვა საკვლევი ქვეყნებისგან განსხვავებით, ტაჯიკეთის უნივერსიტეტები და სამეცნიერო ცენტრები ჩინეთის ფინანსური მხარდაჭერით და გრანტებით სარგებლობენ. ამასთან, ტაჯიკეთისთვის ხელმისაწვდომია ჩინეთთან თანამშრომლობის როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი ფორმატები.

საქართველოში ჩინეთის რბილი ძალის სტრატეგია ითვალისწინებს პარტიული დიპლომატიის, კულტურული თანამშრომლობის, საინფორმაციო გავლენების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პარტნიორობის ფორმატებს. თუმცა, აზერბაიჯანისა და ტაჯიკეთისგან განსხვავებით, საქართველოში ხსენებული ინსტრუმენტები ინსტიტუციონალიზაციის უფრო ნაკლები ხარისხით ხასიათდება. ამის მიუხედავად, ჩინეთთან კულტურული და საგანმანათლებლო თანამშრომლობა ინტენსიურად ვითარდება.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ სამივე ქვეყანაში ჩინეთის „რბილი ძალის“ ოპერაციები მზარდი დინამიკით ხასიათდება. ამ თვალსაზრისით, ტაჯიკეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში გამოვლინდა ჩინეთის საგანმანათლებლო, აკადემიური და მედია აქტივობების ინტენსიფიკაციის ტენდენცია. ოფიციალური პეკინის მიერ გამოყენებული „რბილი ძალის“ ინსტრუმენტები ჩინეთს სხვადასხვა სექტორში საკუთარი გავლენის გაფართოების შესაძლებლობას აძლევს. თუმცა, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჩინეთის „რბილი ძალის“ სტრატეგია განსხვავებული მასშტაბითა და ინტენსივობით ხორციელდება.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის „რბილი ძალის“ სტრატეგია არ წარმოადგენს უნივერსალურ, ყველა ქვეყნისთვის ერთნაირად დაგეგმილ მოდელს. მისი მასშტაბი, ინტენსივობა და გამოყენებული ინსტრუმენტები დამოკიდებულია როგორც პეკინის საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, ისე გავლენის მიმღები სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ კონტექსტზე. შესაბამისად, ჩინეთის „რბილი ძალა“ მოქნილი და ადაპტირებადი სტრატეგიაა, რომლის მეშვეობითაც პეკინი, კონკრეტული ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით, ცდილობს მის მიმართ კეთილგანწყობილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი გარემოს ფორმირებას.

ტაჯიკეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს შედარებითმა ანალიზმა, ასევე, გამოავლინა, რომ ჩინეთის „რბილი ძალის“ ოპერაციების ეფექტიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული გავლენის მიმღები ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასთან. ტაჯიკეთისა და აზერბაიჯანის შემთხვევაში, ავტორიტარული პოლიტიკური გარემო და ჩინეთის მიმართ ხელისუფლების კეთილგანწყობა ხელს უწყობს პეკინის შესახებ დადებითი ნარატივების გავრცელებას და მისი გავლენის ინსტიტუციონალიზაციას. საქართველოს შემთხვევაში კი, მიუხედავად ხელისუფლების მიერ ჩინეთთან ურთიერთობების გაღრმავებისა, უფრო პლურალისტური პოლიტიკური და საინფორმაციო გარემო, ასევე, საზოგადოებაში არსებული პროდასავლური განწყობები, ჩინეთის „რბილი ძალის“ ოპერაციების ეფექტიანობას მნიშვნელოვანწილად ზღუდავს.

ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითებმა, ასევე, აჩვენა, რომ ოფიციალური პეკინისთვის “რბილი ძალა” საგარეო პოლიტიკის აქტიურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამასთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის “რბილი ძალის” სტრატეგია აშშ-ჩინეთის სტრატეგიული მეტოქეობის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. სამივე საკვლევ ქვეყანაში ჩინეთი თავს აღმავალ ზესახელმწიფოდ და დასავლეთის ალტერნატიულ, სანდო ძალად წარმოაჩენს. ამ თვალსაზრისით, პეკინის “რბილი ძალის” მიღმა უფრო ფართო გეოპოლიტიკური ამბიცია იმალება.

ტაჯიკეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში პეკინის მიერ მხარდაჭერილი ან გავრცელებული ნარატივები ორ მიმართულებას მოიცავდა: კომუნისტური პარტიის განვითარების მოდელის პოპულარიზაცია და დასავლეთის (უმთავრესად, აშშ-ის) “მხილება”. როგორც კვლევამ აჩვენა, ჩინეთის “რბილი ძალის” სტრატეგია დაუფარავად ეწინააღმდეგება ლიბერალური დემოკრატიის დღის წესრიგს. ამიტომ, მისი უპირობო მიმღებლობა ტაჯიკეთისა და აზერბაიჯანის მსგავსი ავტორიტარული რეჟიმების დამახასიათებელია. საქართველოში, სადაც დემოკრატიის უკანასკნელი ბურჯები ჯერ კიდევ არსებობს, ჩინეთის “რბილი ძალა” სრულად ვერ რეალიზდება. თუმცა, კვლევის შედეგების მიხედვით, “ქართული ოცნების” მიმდინარე პოლიტიკა პეკინის “რბილი ძალის” ოპერაციების ინტენსიფიკაციისთვის ხელსაყრელ წინაპირობებს ქმნის.